# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 16 (4575) ● 19 დეკემბერი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


ბედნიერი იყოს შობა-ახალი წელი — 2019

ნომრის სტუმარი: თბილისის 151-ე სკოლა

## სამინისტროს ინიციატივებს – სრული შემართება!





**ცოდნის** მაღალ ხარისხს ძლიერი პედაგოგები აღწევენ. წარსულზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამჯერად კი მხოლოდ დღევანდელობის მიღწევებით დავინტერესდით. ორგანიზაციული განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემოს შექმნა და მშობელთა ჩართულობა – ის აქტივობებია, რომლებსაც წარმატებით ახორციელებენ თბილისის 151-ე საჯარო სკოლაში. ღირსეული და ენერგიული დირექტორია **ლია რუხაძე**. მან კარგად იცის ბავშვის ფსიქოლოგია, წლებია განათლების სისტემაშია და სულ რამდენიმე თვეა ამ სკოლის არჩეული დირექტორი გახლავთ. კოლექტივთან მიზანმიმართული, ურთიერთგაგებული და მეგობრული დამოკიდებულება, მისი მოსვლის პირველივე დღიდან დამყარდა. 2017-2018 სასწავლო წელი წარმატებით დაასრულა 72 მოსწავლემ, აქედან 10 ვერცხლისა და 8 ოქროს მედალოსანი იყო. საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია ისიც, რომ სკოლის 69 პედაგოგიდან 2 წამყვანი (**თეა გაბისონია** და **მარეხ ბასილიძე**) და 44 უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა; ორი მათგანი კი კარიერული წინსვლის მიზნით, გარე დაკვირვების მოლოდინშია.

ეფექტურად ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება საგნების სწავლების კოორდინაცია, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ახალი რეკომენდაციების შემუშავება და სხვადასხვა აქტივობისთვის მზადება. ეს კათედრებია: ქართული ენისა და ლიტერატურისა (ხემძღვანელი **ნატო ტოროშელიძე**, 1000 ლარიანი პედაგოგი); პედაგოგები: **ნინო ბაჯაძე, მედეა თუთბერიძე, რუსუდან მენაბდიშვილი, მაია ყაზაიშვილი, ხათუთი ჩალაძე, თეა გაბისონია** (წამყვანი და 1000 ლარიანი), **გიული ნატროშვილი**. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის 60-მდე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში. გასული წლის წარმატებული მოსწავლე **სალომე ნორაკიძე** კი საზაფხულო ბანაკის საგზურით დაჯილდოვდა. საპრიზო მეორე ადგილი დაიკავეს მეათეკლასელებმა **ბაკურ სულაკაურის** გამომცემლობის მიერ ორგანიზებულ კონკურს **„წიგნიერში“;**

უცხო ენათა კათედრა (ხემძღვანელი **ხათუნა სამსონაშვილი**); ინგლისური ენის პედაგოგები:



**ქეთევან აბაზაძე** (1000 ლარიანი), **ნათია გვაზავა, ხათუნა სამსონაშვილი, ნინო სიხარულიძე, დალი თეგეთაშვილი, ქეთევან მინდელი, ქეთევან ნარიმანიშვილი, ანა ჩერქეზიშვილი, მარიამ ზედელაშვილი**; რუსული ენა — **ლალი დოლიძე, ლიანა ხურციძე;** კარიერული წინსვლის მიზნით, პედაგოგმა **ხათუნა სამსონაშვილმა**, ორი სამოდელო გაკვეთილი ჩაატარა და გარე დაკვირვების მოლოდინშია. იგი აწარმოებს ასევე, კვლევას საკითხზე — **„რა გავლენა აქვს კარნახისა და მისი თანამედროვე ვარიაციების გამოყენებას ინგლისური ენის გაკვეთილზე, მოსმენის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.“** ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეებმა — **ანა მამნიაშვილმა** (მე-12კლ.) და **ნატა ჯალმაიძემ** (მე-10კლ) უმაღლესი ქულები დააგროვეს; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები ასევე, FLEX-ისა (მე-2 ტურში გადასული მოსწავლე **ნინო ჯგუშია**) და Benjamin Franklin Transatlantic Fellow Summer Institute-ის საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში; ფრანგულენოვანი მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობენ **„ფრანკოფონიის“** დღეებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. ფრანგული ენის პედაგოგები – **თამილა გეგელია, ეკატერინე ვაჩნაძე-ბუაძე** და **ლეილა დალაქიშვილი** ფრანგ სტაჟიორთან ერთად ამზადებენ მოსწავლეებს DELF-ისა და DALF-ის დიპლომების მისაღებად; ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლე **ანა ჭავჭავაძე** რუსული და ფრანგული ენების ტურის



საუკეთესო ათეულში მოხვდა, **მარიამ კალანდია** კი ფრანგული ენის; სკოლა ჩართულია იტალიის საელჩოს საგანმანათლებლო პროექტში. – დამატებითი უცხო ენის (იტალიური) შესწავლა; ასევე თანამშრომლობს საქართველოში საფრანგეთის ინსტიტუტთან და ალ. დიუმას ცენტრთან.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე (ხელმძღვანელი **ნინო ხიზანიშვილი**) — ისტორიკოსები: **ლალი მჭედლიშვილი, ლია მახარობლიძე, ნატო ლორთქიფანიძე, მაია დახუნდარიძე;** გეოგრაფები: **ქეთევან მეტრეველი, ლალი გობეჯიშვილი, თეონა ქავთარაძე** – სხვადასხვა აქტივობებითა და ჯგუფური სამუშაოებით, მოსწავლეებს პრეზენტაციისა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარებიან. მოსწავლეები – **სალომე ნორაკიძე, ვაჟა ფანჯიკიძე** და სხვ. მონაწილეობდნენ სამოქალაქო კონკურსში **„მე და კონსტიტუცია“** და რესპუბლიკის მასშტაბით მე-3 ადგილი დაიკავეს;

2017-2018 სასწავლო წელს სკოლა მონაწილეობდა ინტელექტუალურ თამაშებში, რომელსაც კურირებდა კავკასიის უნივერსიტეტი დავით მოსიძესთან ერთად. უფროსკლასელები – **გიორგი გიგაშვილი, ანანო ბურდილაძე, დავით ჯანელიძე, ანა ტორონჯაძე, გიგი გიორგაძე, ბარბარა იველაშვილი** – პირველ ადგილზე გავიდნენ საქართველოს სკოლებს შორის და გახდნენ 2018 წლის ინტელექტ ჩემპიონები და საუკეთესო ინტელექტუალური სკოლა, რომლის ბანერი და თასი სკოლაში ერთი წლის მანძილზე დარჩება;

საბუნებისმეტყველო კათედრა (ხემძღვანელი **თინა მელიქიძე**); მასწავლებლები— **მაკა გაგნიძე** (ბიოლოგია), **ირმა კევლიშვილი** (ბიოლოგია), **ლაურა ბეგიაშვილი** (ქიმია), **ლიანა ჩხაიძე** (ქიმია), **ლეილა ლაფერაშვილი** (ფიზიკა) – საინტერესო საგაკვეთილო პროცესს წარმართავენ. **მაკა გაგნიძემ** იმუშავა გერმანულ საგანმანათლებლო პროექტზე **„ბაღის ფრინველთა საათი“; ლიანა ჩხეიძემ**, მეთერთმეტე კლასელებთან ერთად – პროექტზე **„ბიონარჩენების გადამუშავება“.**

წარმატებულია დაწყებითი კლასების კათედრა, ხელმძღვანელი **ეკატერინა სებისკვერაძე;** წამყვანი პედაგოგი **მარეხ ბასილიძე;** პედაგოგები: **მარიამ იაშვილი, თამარ კიკაბიძე, ეკატერინე კიკნაველიძე, ირინე კობეშავიძე, ეკატერინე ლოლაშვილი-თევდორაშვილი, თამარ მაკალათია, მარინე შუკაკიძე,**

გაგრძელება მე-2 გვ.

---

ნაირა ნიჟარაძე



### სამშობლოს მშვიდობა!

*მარგალიტო ქვეყანავ,*
*მარად შენ გენაცვალე,*
*ვარ პატარა ცის ნამი,*
*შენზე ფიქრი მანვალებს.*

*მოვილოცავთ ახალ წელს,*
*არ დავტოვებს ცარიელს,*
*სიყვარულსაც მივუძღვნით*
*ნესტანსა და ტარიელს.*

*ახალ ფერებს მოვართმევთ*
*იასამნებს, ზამბახებს,*
*მოვილოცავთ ახალ წელს*
*მთებზე თოვლის ნახატებს.*

*იმედებით თენდება,*
*ჩნდება წელი ახალი,*
*გაიხარებს მშრომელი,*
*გაიღიმებს მნახავი.*

*საქართველო მხნედ არის.*
*საქართველო მედგარი,*
*მარად გაუხუნარი,*
*ბრძოლაშიაც მხნედ არის.*

*ძალადობა, ცინიზმი,*
*შორს მონობა, ხუნდები,*
*ცისქვეშ მტრობა განელდეს,*
*სიყვარული გამეფდეს.*

*ბულბულები გალობდეს.*
*ჩახჩახა მზე გვწყალობდეს,*
*მშობლიურო ბუნებავ,*
*ყოველ დილით ვხარობდეთ!*

*ღმერთო, იმედიანო,*
*ჩვენც სიცოცხლე გვაცალე,*
*მარგალიტო ქვეყანავ,*
*მარად შენ გენაცვალე!*

---

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მე-6 საჯარო სკოლა ქებას იმსახურებს

# ცოდნის სიყვარულით გამთბარი კერა



**თბილისის** მე-6 საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად 543 მოსწავლეა, 2006 წლიდან ფუნქციონირებს სპორტული სკოლა-ინტერნატის ბაზაზე, სადაც ადრე მხოლოდ მე-7-11 კლასები იყო. 2007 წლიდან კი სკოლის დირექტორია ქალბატონი **თამარ აბაზაძე,** მან საკუთარი ხედვითა და შემუშავებული სტრატეგიით შეძლო საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივის შეკვრა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. აქ მუშავდება გეგმა, ღონისძიებების ნუსხა, პრიორიტეტული მიმართულებები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები ხდება გამოცდილების გაზიარება. ეს კათედრებია: ქართული ენისა და ლიტერატურის (**ნათია ცერცვაძე**), საზოგადოებრივი მეცნიერებების (**ქეთინო ხოსროშვილი**), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (**ნინო ბარნოვი**), მათემატიკის (**ნინო სანაია**), უცხოური ენების (**ლელა თანდილაშვილი**), ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის (**ნინო ლორია**), დაწყებითი კლასების (**ირინე ბერიაშვილი**). წლის განმავლობაში კათედრები ატარებენ სხდომებს, ახორციელებენ პროექტებს, რეკომენდაციებს. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დირექტორი ხშირად ატარებს სასწავლო პროცესის შემოწმება-შეფასებასა და მონიტორინგს.

თავდადებით ილვწიან პედაგოგები: ქართულისა – **ირინე ბერიაშვილი, ნათია ხუციშვილი, ქეთევან მეგრელიშვილი, ლელა ტულუში, ნინო თოდუა, ნათია ცერცვაძე, ელიზა გურჯიძე;** მათემატიკისა – **თამარ აბაზაძე, ნინო ბარნოვი, ელიზავეტა გუგეშაშვილი, თეონა მერებაშვილი, ნინო სანაია, მამუკა ღლონტი, ლილი მამრიკიშვილი;** ინგლისურისა – **ელისო გურგენიძე, ლელა თანდილაშვილი, ლელა თორაძე, მანანა არსენიძე;** რუსულისა – **ლეილა ქერაშვილი, სვეტლანა ლორია; თამარ დუნდუა** (ქიმია), **გიორგი კასაბური** (ბუნებისმეტყველება), **მზალო კვებლიანი** (გეოგრაფია), **ეთერ სადალაშვილი** (ქიმია), **მაია ურუშაძე** (ბიოლოგია), **ნინო ღვინჯილია** (ბუნებისმეტყველება), **ქეთინო ხოსროშვილი** (ისტორია),



**გიორგი ანდღულაძე** (სპორტი), **თამარ ასლანიშვილი** (ისტ), **მადონა ბერიძე** (ხელოვნება), **ვახტანგ ბოჭორაძე** (ჭადრაკი), **ნინო ლორია** (მუსიკა), **ელენე მახარაძე** (ჭადრაკი), **ლია სვანიძე** (ხელოვნება), **ირმა ხაზალაშვილი** (მუსიკა), **გიორგი ხელაშვილი** (სპორტი, სამოქალაქო განათლება), **სოფიო სიბრტყელაძე** და **თინათინ ბლიაძე** (სპეც.პედაგოგები).

მოსწავლეები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში, კერძო თუ სასწავლო ოლიმპიადებში; ხორციელდება შიდა სასკოლო და საგანმანათლებლო პროექტები, ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები; აქტიურად არიან ჩართულები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ და kings-ისა და smart-ის ოლომპიადებში. მიღე-




ბულმა წარმატებებმა მოსწავლეებში გაზარდა სწავლისადმი ინტერესი და მოტივაცია.

2017—2018 სასწავლო წელს სკოლა ჩაერთო **„თავისუფალი გაკვეთილების“** 2 პროექტში — **„ჯანსაღი კვება“** და **„არქიტექტურა და დიზაინი“,** სადაც მოსწავლეებმა ძალიან საინტერესო პროექტები დაამზადეს.

მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი, დირექცია და მოსწავლეები ყოველწლიურად, ერთობლივად ახორციელებენ კარგად ორგანიზებულ საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო თუ კლასგარეშე და სასწავლო ღონისძიებებს, მხიარულ სტარტებს, ჩაატარეს თეატრალური კომპოზიცია **„თბილისი — კოლორიტთა ქალაქი“.** საინტერესოდ წარიმართა სასკოლო ღონისძიებები: **„13 ასურელი მამის კვალდაკვალ,“ „ადამიანი და ჯანმრთელობა,“ „ენერგიის სახეები;“** ასევე, პროექტები — **„ქართული კალიგრაფია—ვწეროთ ლამაზად, ვწეროთ ქართულად“, „ჩვენ წიგნები ავიტაცოთ ხელში და ისინი აგვაფრენენ მაღლა.“**

შიდასასკოლო ინტელექტუალურ გუნდურ თამაშში **„ტვინების ბრძოლა“** მე-3 კლასელებმა შავი ზღვის უნივერსიტეტში ჩატარებულ მე-2 ტურში მიიღეს დაფინანსება საზამთრო კურორტზე ბაკურიანში. მე-8 ბ კლასელები (პედაგოგი **ნ. ღვინჯილია**) პროექტით **„ჩვენ ერთად ვართ,“** სოციალურად დაუცველთა დღის ცენტრ **„ლაზარეს“** ბენეფიციარებს ესტუმრნენ, დაუსუფთავეს ეზო, დათესეს ბოსტნეული.



წარმატებული პრეზენტაციები ჩატარდა პედაგოგ **ნ. ღვინჯილიას** კლასებში: მე-8ბ – თემაზე **„გულსისხლძარღვთა სისტემა;“** მე-2ა და მე-2ბ – თემა **„საბინადრო გარემო“;** მე-4ბ – **„საქართველოს კუთხეები “.** ხშირია კულტურული ღონისძიებები, იდგმება სპექტაკლები. სკოლის თეატრალების მიერ დადგმულმა სპექტაკლმა **„შვლის ნუკრის ნაამბობი“,** თეატრალურ კონკურსში მე-3 ადგილი დაიკავა.

თბილისის მე-6 და მე-200 საჯარო სკოლები ერთობლივად ახორციელებენ პროექტს – **„შევქმნათ თანაბარი გარემო თანაბარი შესაძლებლობებისათვის.“**

**თამარ აბაზაძე** მთელი სასწავლო წლის მანძილზე ცდილობს მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა თანამედროვე სტანდარტების დონეზე წარმართოს. აქ მშობლიური, კეთილგანწყობილი გარემოა, სადაც კოლექტივის თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა და საკუთარი შრომის შედეგიც ახარებთ. ახალ წელს უფრო ძლიერად მხრებგაშლას გისურვებთ!

**მარიამ ღონღაძე**

# სამინისტროს ინიციატივებს – სრული შემართება!

პირველი გვერდიდან

**ლეილა ჩიტაიშვილი** (გარე დაკვირვების გაკვეთილისთვის ემზადება), **ნინო ჯაფარაშვილი, მაკა ვაშაკიძე, ნინო თაბუკაშვილი, ია იაკობაშვილი, თამარ ქილიფთარი, ლელა შარაბიძე.** სიახლეა ის, რომ დაწყებით



კლასებში, საკლუბო და საწრეო მუშაობები ტარდება. ორი წრე უფასოდ ემსახურება ბავშვებს: მათემატიკური წრე — **„ასკინკილა“** და **„სახალისო მათემატიკა“.** ქართულ-ფრანგული კულტურის კლუბში (ხელმძღვანელი **მარეხ ბასილიძე**) ხორციელდება სტანდარტს ზემოთ, საკლუბო, ინტეგრირებული მუშაობა —კითხულობენ ფრანგულ ლიტერატურას და ქართულად განიხილავენ. წლის ბოლოს იგეგმება პროექტი — **„ერთად წიგნიერებისკენ“**; ასევე, მშობელთა კონფერენცია, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ის მშობლები, რომლებიც ყოველ პარასკევს თითო ზღაპარს უკითხავდნენ პატარებს; მე-3 და მე-4 კლასებში ხორციელდება ახალი საგნის **„მე და საზოგადოების“** სწავლება. პირველ კლასებში პედაგოგებმა — **ეკა სებისკვერაძემ, მარეხ ბასილიძემ, ირინე კობეშავიძემ** და **მაკა ვაშაკიძემ „ანბანის შემობრძანება“** ჩაატარეს.

მათემატიკის სწავლის მოყვარულებს ზუსტ ცნობებს აწვდიან მათემატიკის პედაგოგები — **სოფიო ირემაშვილი, ინდირა მელიქიძე, მარინე სანაძე, ნინო ქართველიშვილი, ნაზი პირველი;** საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვას უძღვება საინფორმაციო მენეჯერი დიანა მიქაძე.

მოსწავლეთა ჰარმონიული აღზრდისა და ესთეტიკური განვითარების პროექტში აქტიურად არიან ჩართულები ხელოვნებისა და მუსიკის პედაგოგები: **ნინო ვარაზაშვილი, ქეთევან ცხაკაია, თამარ სეხნიაშვილი, თამარ გელაძე** და **ნათელა სარჯველაძე;**

განსაკუთრებულად ნიჭიერთათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. საამაყოა, რომ ამ წარჩინებული მოსწავლეების სახელი საქართველოს ფარგლებს გასცდა. ესენი არიან – პიანისტი **გიორგი გიგაშვილი,** ჩაიკოვსკისა და გერშვინის კონკურსების ლაურეატი, რომლებიც ესტონეთსა და ამერიკაში ჩატარდა, მონაწილეობდა აგრეთვე კონკურსებში გერმანიასა და საფრანგეთში; ასევე წარმატებული პიანისტია მშვიდობის ელჩის **ელისო ბოლქვაძის** რჩეული მოსწავლე **ბარბარა თათარაძე;** უამრავი კონკურსის გამარჯვებულია მომავალი კომპოზიტორი და წარმატებული პიანისტი **სანდრო წიქორიძე,** რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსების ლაურეატია. საამაყო სპორტსმენები არიან ამ სკოლის აღზრდილი კალათბურთელები – **ლუკა დოლიძე** და **ლუკა ლიკლიკაძე,** რომლებიც ამერიკისა და ესპანეთის გუნდებში თამაშობენ. ახლახან სკოლაში ჩატარდა კალათბურთის ჩემპიონატი, გაიმარჯვა მე-9³ კლასმა (დამრიგებელი **დალი თეგეთაშვილი**) შთამბეჭდავ ღონისძიებებს მართავენ სპორტის პედაგოგები: **გენადი ძიმისტარიშვილი, იოსებ თანანაშვილი** და **ალექსი ქისტაური.**

საგნის მასწავლებლები ფსიქოლოგ **შორენა მუმლაძესთან** ერთად 4 სსსმ მოსწავლის ინკლუზიური განათლების გეგმას ახორციელებენ.

უსაფრთხოების კონტროლს, უძღვება მანდატურის სამსახური: **მამუკა მელაშვილი, თინათინ ლაზარაშვილი, ნატო მაყაშვილი-ამილახვარი** და **თამარ კორაშვილი.** დირექცია სისტემატურად ზრუნავს საბიბლიოთეკო ფონდის ზრდაზე (ბიბლიოთეკარი **ლია კვესაძე**).

საინტერესოდ მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა (თავმჯდომარეები: **თორნიკე ჯგუშია; ნიკოლოზ ელოშვილი**), რომელთა ინიციატივით შეიქმნა – ნორჩ მუსიკოსთა, ნორჩ მათემატიკოსთა, ჩვენ ვსწავლობთ კონსტიტუციას, **„იდებატე“** და სამოქალაქო განათლების კლუბები; **ლიანა ჩხაიძის** ხელმძღვანელობით დგამენ საქველმოქმედო სპექტაკლს, აგროვებენ პროდუქტსა და სხვა საჭირო ნივთებს, რომლებსაც გადასცემენ 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება და სწავლების ხარისხის შეფასება. ამ ყველაფერს კი დირექტორთან ერთად, წარმატებულად უძღვება მისი მოადგილე **ლიანა ჩხაიძე,** რომელიც 21 წელია სკოლაში ქიმიას ასწავლის, 12 წელია მოადგილეა და ახალი დირექტორის არჩევამდე, 17 თვე დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. დირექტორის **ლია რუხაძის** ხედვებით, მცირეოდენი ცვლილებები შეიტანეს სკოლის შინაგანაწესში, სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა აქტივობაში, კონკურსებსა და გამოფენებში. ასე რომ, ყველა პედაგოგი თავდადებით ილვწის განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივების ხორცშესასხმელად.

ახალ წელს ახალი წარმატებები მოეტანოს თქვენთვის, 151-ე სკოლელებო!

**ნათია გურგენიძე**

76-ე საჯარო სკოლა მაღალ შედეგებს უმიზნებს

# ძლიერი პედაგოგები და შემოქმედი დირექტორი — აი, გამარჯვების გარანტი!



N76 სკოლის დირექტორი ნათია სებისკვერაძე

**ხშირად** მიწევს ოპონენტებთან კამათი ქალაქის ცენტრის სკოლების „პრესტიჟულობაზე“ და მტკიცება იმისა, რომ გარეუბნის ცოდნის კერები მათ არაფერში ჩამოუვარდებიან. ამის არგუმენტად ყოველთვის **ავიამშენის დასახლების 106-ე** სკოლის მაგალითი მომყავს. კერძოდ, ხუთი წლის წინათ პროფესიონალმა დირექტორმა **თენგიზ გულორდავამ** გაჩანაგებული სკოლა ჩაიბარა და მუხლჩაუხრელი შრომით ძლიერ პედკოლექტივთან ერთად სკოლა მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

პატარაა აეროპორტის დასახლებაში მდებარე 76-ე სკოლა, მაგრამ იქ დიდი საქმეები კეთდება იმიტომ, რომ ძლიერი პედაგობები და შემოქმედებითი დირექტორი მოღვაწეობენ. **ნათია სებისკვერაძე** გამოცდილი, სიახლის მაძიებელი დირექტორია. მას მხარს უმშვენებენ ასევე პროფესიონალი პედაგოგები: მოადგილე **ხათუნა ყარყარაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მაია ჯავახიშვილი,** პედსაბჭოს მდივანი **ნინო ცხოვრებაძე** და, რა თქმა უნდა, მაღალ შედეგებზე ორიენტირებული მასწავლებლები.



საქალაქო ღონისძიება ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ

მათი მთავარი მიზანია განათლების ახალი მინისტრის ახალი ინიციატივების პრაქტიკული ხორცშესხმა.

გთავაზობთ სკოლის დირექტორთან ვრცელი საუბრის მოკლე შინაარსს.

***

ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ა თბილისის **N76 საჯარო სკოლა.** აქ სწავლობენ მოზარდები სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

ძლიერი პედაგოგები უძღვებიან სასწავლო სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. 28 პედაგოგი სერთიფიცირებულია-აქვთ უფროსი მასწავლებლის სტატუსი. წამყვანი პედაგოგია **ხათუნა ყარყარაშვილი**.

წელს გაიხსნა 4 პირველი კლასი. პედაგოგები არიან: **ლალი მერკვილაძე, მაია ოქროპირიძე, ირმა ქუფარაშვილი, ნინო ქოთოლაშვილი.**

მათემატიკის ენაზე თუ ვიტყვით, კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირ პროპორციულია მაღალი შედეგებისა. საგნობრივი კათედრებია:

სახელმწიფო ენისა, შედიან ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები, (ხელმძღვანელი - **ლონდა ნარსავიძე**), მათემატიკისა და ისტორიის (**მაია ჯავახიშვილი**), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (**ნინო ბორჩხაძე**), საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, (**დალი ზაალიშვილი**), უცხოური ენების ინგლისური, რუსული (**ეკატერინე ჯიქია**), ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა (**ირმა ლიპარტელიანი**).

მაღალია მოსწავლეთა ჩართულობა და აქტივობა სხვადასხვა ღონისძიებებში. უკვე გავიმარჯვეთ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ



Iგ კლასის დამრიგებელი ირმა ქუფარაშვილი

ბლოგების კონკურსში: **„ჩვენ ვიცავთ თანატოლთა უფლებებს“**. პედაგოგი, **ხათუნა ყარყარაშვილი** და მისი აღსაზრდელები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფულადი პრიზებით .

ზედიზედ მესამედ მოვიპოვეთ გამარჯვება ბაკურ სულაკაურის კონკურსში **„ყველაზე წიგნიერი“**.მოგვენიჭა **„ყველაზე წიგნიერი სკოლის“** ტიტული 1000 ლარიანი ვაუჩერის წიგნები გადმოეცა საჩუქრად სკოლის ბიბლიოთეკას. ფინალურ ტურში გადავიდნენ გუნდები: **„ჰარმონია“**, **„ოქროს წვიმა“** და **„ირიდა“**. (პედაგოგები: **ნათია ყარყარაშვილი, თეა ათუაშვილი**). 400 ლარიანი წიგნების ვაუჩერით დაჯილდოვდნენ **„ირიდას“** გუნდის მონაწილეები (**გვანცა აფაქიძე, სალომე ზაქარიაძე, თამარ ინაშვილი, თინათინ ივანიშვილი, ლინა აჯოიანი**). **თამარ ავალიანი** – 100 ლარიანი წიგნების ვაუჩერით–საუკეთესო მწერლის ნომინაციის ლაურეატია.

**„ცოდნის სამყაროს“** მიერ ორგანიზებულ ქართულის, ბიოლოგიის და რუსულის ოლიმპიადებში გამარჯვებული არიან მე-11 კლასელები: **თამარ ინაშვილი** - ბიოლოგია, **გვანცა აფაქიძე** - რუსული ენა, **სალომე ზაქარიაძე-** ქართული ენა, დაჯილდოვდნენ თურქეთში, ქალაქ კაბადოკიაში უფასო , 5 დღიანი ტურით პედაგოგებთან ერთად (**ნათია ყარყარაშვილი, ნათია სებისკვერაძე, ხათუნა ყარყარაშვილი**).

კონკურსში: **„თავისუფალი გაკვეთილები“** მოვიპოვეთ 1000 ლარიანი გრანტი.

ხელოვნების პედაგოგმა, **თინათინ თოფურიამ,** მე-7. მე-8 კლასელებთან განახორციელა პროექტი: **„მცირე ზომის ხალიჩების და ფარდაგების ქსოვა“**.

მათემატიკურ კონკურსში: **„იმედი ხვალის-2018“** ფინალურ ტურში გადავიდა მე-3 კლასელი **ალექსანდრე მაჭავარიანი** (პედაგოგი: **ინგა ბლიაძე**);

**იაკობ გოგებაშვილის კვირეულში** მე-2 კლასელებმა (დამრიგებელი: **ნატო მუშკუდიანი**). პატარებმა მშობლების დახმარებით დაასათაურეს დიდი პედაგოგის სხვადასხვა ნაწარმოებები და წარმატებისთვის იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებისგან სიგელებით დასაჩუქრდნენ.

**„ევერესტის“** ფინალში, **„ოქროს ათეულში“** მოხვდნენ **მარიამ ბერიძე** (მე-3კლასი), პედაგოგი: **ნატო მუშკუდიანი** და **გიორგი ავალიანი**( მე-4 კლასი), პედაგოგი: **ლალი მერკვილაძე**.

ზღაპრების საქალაქო კონკურსში, პირველი ადგილი დავიკავეთ.(პედაგოგი: **ინგა ბლიაძე**), ასევე გავიმარჯვეთ საქართველოს მასშტაბით გამართულ



კაპადოკიის სურათები



სკოლის პედკოლექტივი

ფესტივალში: **„მზიანი საქართველო“,** რომელიც ქალაქ ქობულეთში ჩატარდა.

**„შექმენი საახალწლო ნაძვის ხე“** - მოვიპოვეთ პირველი ადგილი.(პედაგოგი: **თინათინ თოფურია**).

საინტერესოდ ჩაატრა **„დედის დღე“** **ნატო მუშკუდიანმა** მე-2 კლასში.

დაწყებითი კლასების კათედრამ (ხელმძღვანელი: **მაია გამეზარდაშვილი**) გაიმარჯვა **„რბილი სათამაშოების კონკურსში“**

მოსწავლე, **იოლჩი გსოიანმა** (პედაგოგი: **ლონდა ნარსავიძე**), გაიმარჯვა ესეების კონკურსში: სახელმწიფო მინისტრმა **ქეთევან ციხელაშვილმა**, მას გადასცა დიპლომები 17) სკოლაში დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ბიბლიოთეკარის, **ნანა ოქროპირიძის** ორგანიზებით მე-5ბ კლასში ჩატარდა ღონისძიება **„ბუნების წუხილი“**.

ჩავატარეთ **„მხიარული სტარტები-2018“**,

ხელოვნების ფესტივალში **„დრიმ სამიტი“** (პედაგოგი: **თინათინ თოფურია**). მოსწავლეები **მარიამ ჯიმშელეიშვილი** და **მერი თორღვაიძე** დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით. მათი ნამუშევარი: **„დუმფარები“** იაპონიაში გამოფენაზე გაიგზავნა.

დაწყებითი კათედრის აქტივში პედაგოგ **ინგა ბლიაძის, მაია აბაშვილის, მაია ოქროპირიძის, ნარგიზ ალავიძის, თეა ათუაშვილის, ლონდა ნარსავიძის** საინტერესო ღონისძიებები.

ორეგონის შტატში საჭადრაკო ტურნირზე მე-9 კლასელმა, **დავით გაბუნიამ**, მე-2 ადგილი დაიკავა.

სპორტის სახეობა ტაიკვანდოში სკოლა ასახელეს: **ნიკოლოზ კურტანიძემ, გიორგი ქალდანმა, ბადრი ილურიძემ, გიორგი იარაჯულმა, ალექსანდრე ოჩიგავამ, თორნიკე სალხინაშვილმა** (პედაგოგი: **კონსტანტინე ოჩიგავა**)

დიდი წარმატება ხვდათ წილად მე-10 კლასელი მხატვრის **ერიკ მინასიანის** პერსონალურ გამოფენას.

**„გეოვიქტორინაში“ –** პედაგოგ **ნელი კვარაცხელიას** მოსწავლეებს.

ოლიმპიადის გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: **ბასა ქებაძე** (დამრიგებელი: **რუსუდან სიხარულიძე**); **ნინო სალხინაშვილი** (**ნატო მუშკუდიანი**); **ნუგზარ ისოიანი** (**ნინო ცხოვრებაძე**).

ლიტერატურულ კლუბს **„მერმისი“** ნაყოფიერად უძღვება ქართულის პედაგოგი **ლონდა ნარსავიძე**.

ისტორიის პედაგოგებთან, **დალი ზაალიშვილთან, ნინო ვარსიმაშვილთან** და **მარინა მეგუთნიშვილთან** ერთად, მეცხრეკლასელები დაჯილდოვდნენ გამოფენაზე - საგანმანათლებლო პროგრამაზე: “**მეფე ერეკლე- ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია**”.

წლების მანძილზე მოსწავლე, **ნინო თამარაშვილი,** იყო ეროვნული ოლიმპიადების გამარჯვებული რუსულ ენაში.

სკოლის დირექცია სისტემატურად ზრუნავს საბიბლიოთეკო ფონდის ზრდაზე. მიმდინარე წელს შემოტანილია 150 ლარის მხატვრული ლიტერატურა.

ყოველივე ზემოჩამონათვალს არ სჭირდება კომენტარი. იგი თავისთავად ღაღადებს ნაყოფიერ, მაღალ შედეგებზე ორიენტირებულ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. ნაკლებად შევეხეთ ადმინისტრაციის საქმიანობას, მაგრამ აქაც ადვილი დასანახია შემოქმედი დირექტორის ნათია სებისკვერაძისა ძლიერი პედაგოგების ხელწერა, მათი თავდადებული მოღვაწეობა. კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა შესაფასებელი, მაგრამ ის შემდეგისთვის იყოს.



Iბ კლასის დამრიგებელი მაია ოქროპირიძე

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. **სკოლის შემოდგომა** კი ივნისშია. გვჯერა სასწავლო წლის დასასრულს ბლომად დაითვლიან წიწილებს ე. ი. წარმატებულ შედეგებს.

**76-ე საჯარო სკოლელებო, დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ და ზღვა სიხარულს გისურვებთ!**

**ბორის მიშველაძე,**

პედაგოგიკის დოქტორი

საქმემან შენმან...

# „კონტექსტიდან ამოვარდნილი სკოლა“




**ერთ-ერთი** ყველაზე აქტუალური, თანამედროვეობის ანტიპოდი ლოზუნგი საგულდაგულოდ მიჩქმალეს: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ დაგვანელა დილეტანტების პარპაშმა, გააპარტახა ქვეყანა. თითქოსდა, რა მარტივია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, მაგრამ სწორედ მეპურეს რომ არ აკარებენ თონესა და ფურნეს მოყვრობა-დოსტობაში სამშობლოს, ხალხის ხარჯზე ჩაყურყუმელავებული „ზეპურნი მამანი?“

უვიცობა, დილეტანტიზმი ყველა დარგში დამღუპველია, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო განათლების სფეროშია, რადგან აწმყოს ხომ ღუპავს და ღუპავს, მომავალსაც საფუძვლიანად უთხრის ძირს.

ამიტომაცაა დასაფასებელი, დასანახი და დასაფასებელი განათლების სისტემაში მომუშავე ყოველი პროფესიონალი. მათ მხრებზე დგას უსათუთესი და სწორედ რომ ხელიხელ საგოგმანებელი მისია – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი, პატრიოტი თაობების აღზრდა.

**მაქსიმ გორკი** ამბობდა, ბავშვებისათვის ისევე უნდა წერო, როგორც – უფროსებისთვის, ოღონდ, უფრო უკეთესადო.

ამ გამონათქვამის პერიფრაზით, ბავშვებს ისევე უნდა მოეპყრო, როგორც – უფროსებს, ოღონდ, უფრო უკეთესად. ყმაწვილებში, უპირველესად, შენს ტოლსა და სწორს, პატარა ადამიანს უნდა ხედავდე, ვისაც ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვს და შესატყვისად



მოექცე – ასწავლო, მაგრამ არა მაინცდამაინც მენტორის პედანტურობით, თითის ქნევითა და მშრალი, ხშირად, უკულმართი ინსტრუქციებით, არამედ შეეცადო თავადაც „გაბავშვდე“, მისი აღქმის უნარი გაითავისო, პირადი მაგალითით მოიპოვო აღსაზრდელის ნდობა და ასე ატარო აღზრდისა და სწავლის რთულ გზაზე.

ყოველივე ზემოთქმული უწყიან და ასე ირჯებიან თბილისის 35-ე საჯარო სკოლის პედაგოგები: **თინა სეხუა, ქეთევან სებუა, მანანა ბოლქვაძე, სვეტლანა ლომიძე, აზა მუმლაძე, თამთა არჩაია, იზოლდა კაპანაძე, ლია ბიკაშვილი, თამარ ხიჯაკაძე, ემა ჯოჯუა, თამარ ჭოხონელიძე, ნუკრი ებრალიძე, თინა რეხვიაშვილი, თამარ ბურდული, თამარ ჩახმახაშვილი, ინგა იობაშვილი, მთვარისა წიკლაური, ქეთევან გორგიაშვილი, მანანა გოგოლაძე, მანანა ოზიაშვილი, მარინა მენაბდე, დალი ხურცილავა, ნინო ქუტაშვილი, მანანა ბერიძე, მარინე კოდუა, ლალი ტურიაშვილი, ნათელა როდონაია, ანა ბეჟიაშვილი, ბელა ლაითაძე, ნონა შელია, ევგენია მენაბდე, ლალი ჯინჭველაშვილი, ნინო ტრაპაიძე, ელისო ბუზალაძე, ნატალია აფციაური, თამარ ხოსიტაშვილი, ნინო მექვაბიძე, ირინა ქართველიშვილი, იზო ვაშაძე, მა-**



**რინა სირაძე, ნანი შანიძე, ლალი გუდაძე, ირაკლი გაგოშიძე, გიორგი ძნელაძე, ეთერ მაისურაძე, ლალი მენაბდე, რუსუდან ზანქაიძე, ირა ბიძინაშვილი, მზია მეგრელიშვილი, თინა მიქაია.**

და ეს რომ ნამდვილად ასეა, მოსწავლეთა ფრთიანი გამონათქვამიც ურყევად ადასტურებს, ჩვენი დირექცია კონტექსტიდან ამოვარდნილი დირექციააო (იგულისხმე – სკოლა – კ.გ.). აქ სხვადასხვა სკოლიდან ბევრი გადმოსული ყმაწვილია. ჰოდა, ადარებენ.

რას? უპირველესად, აღმზრდელ-აღსაზრდელის ზემომოხმობილ დამოკიდებულებას. ახლა კიდევ მშობლების უამრავი სამადლობელი...

35-ე სკოლაში ერთმანეთს ერწყმის მხცოვან პედაგოგთა სიდინჯე, გამოცდილება და ახალგაზრდების ენთუზიაზმი, ენერგია, რაც სწორედ იმ ოქროს შუალედს ქმნის, ყველაზე უკეთეს შედეგს რომ იძლევა.

აქაურ პედაგოგთა, კათედრების მუშაობა მდინარის დელტასავითაა: თითოეული თავის კალაპოტში მიედინება, სრული შემოქმედებითი თავისუფლება აქვთ, მაგრამ მაინც მთლიანის ნაწილნი არიან და შესართავთან ისევ ერთ მძლავრ ნაკადად ერთიანდებიან. ყველას ცალ-ცალკე და ერთად შეაქვს წვლილი სკოლის წარმატებებში. თუნდაც „კატის“ გამოცდები – მაჩვენებელი თითქმის დაუჯერებელი 98 %-ია. წარმატებებია ყველა სახისა და დონის ოლიმპიადა-კონკურსში. შარშან ორი ოქროს მედალოსანი ჰყავდათ: **გოგა ნაცვლიშვილი** და **მარიამ გუჯაბიძე**. იყოს ორი, მაგრამ ნაღდი. სხვაგვარად 100 %-იან გრანტებს ვერ მოიპოვებდნენ.

უნარიანად, კოლეგიალურად უძღვება კოლექტივს დირექტორის მოადგილე ქალბატონი **მონიკა იაშვილი.** მისი თქმით, და, მჯერა, რომ ასეცაა, სკოლის სავიზიტო ბარათი კოლეგების სანიმუშო ურთიერთობა და მათი ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაა.

გამიხარდა ჩემსავით დედაუნივერსიტეტელი ფილოლოგის, 35-ე სკოლის დირექტორის ბატონ **მიხეილ ჩიკვილაძის** გაცნობა. ეს გრძნობა მისი ცხოვრების გზის ძალზე მოკლედ გაცნობამ და მსჯელობამ გამიღრმავა: უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე – 1982 წელს მუშაობა დაიწყო 51-ე სკოლაში **გურამ რამიშვილის** პროექტ **„გერმანულ სკოლაში“.** პროექტი ,ენის საფუძველზე, სამი კულტურის: ქართულის, გერმანულისა და რუსულის შერწყმას ითვალისწინებდა. შედეგი დიდებული იყო და ამ გამოცდილებაზე სხვა სკოლები ჩამოყალიბდა. 1989 წელს დააარსა მეორე ქართული გიმნაზია. მისი დირექტორი იყო. გიმნაზიაში მუშაობდნენ: **ალექსანდრე კარტოზია, გაგა ჩხეიძე, მაია ფანჯიკიძე, მიხეილ მინდაძე, ინგა ჯიბუტი.**

ახალგაზრდები შემობრუნდნენ სკოლისკენ! პარალელურად მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს შემოქმედებითი გაერთიანების **„ლაშარის“** დირექტორად. აფხაზეთის ომის მონაწილეა. 1994 წლიდან კვლავ ტელევიზიაშია. 1997 წლიდან ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. 2002 წელს ჩამოაყალიბა ფეხბურთის აკადემია **„ოლიმპი“** და ამავე სახელწოდების სკოლა. იყო მისი დირექტორი. 2014 წლიდან კი 35-ე სკოლას უდგას სათავეში. სკოლის ნომრის შესატყვისი წლების მანძილზე გახლდათ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის ანსამბლ **„ფაზისის“** სოლისტი.

ბატონი მიხეილი დირექტო-



რია, მაგრამ მრწამსით, არსით, უპირველესად, პედაგოგია. ახლაც ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

სწორედ ამიტომ განიცდის მძაფრად ჩვენი დროების უკუღმართობას, განათლების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს. ლამის ორი წლის მანძილზე მეორე დირექტორია, ვინც ამ პრობლემებზე საგაზეთო მსჯელობას დაყაბულდა. მეტიც – თავად წამოიწყო.

**მიხეილ ჩიკვილაძე:** „ექსტერნების ჩაბარების წესია გადასახედი. მოსწავლეს გაკვეთილების გარკვეული რაოდენობის გაცდენის საშუალება ეძლევა და შემდეგ ექსტერნად აბარებს საგნებს, რაც ხელს უწყობს რეპეტიტორობის განვითარებას. ეს კი მშობლების ჯიბეს ურტყამს – ყველაფერს გაიღებს, რომ შვილი კარგად მოამზადოს.

აბიტურიენტი აბარებს ბუნებაში არარსებულ საგანს – უნარებს, რაც სკოლებში არ ისწავლება, რატომ? კვლავ მომზადება, კვლავ მშობლების ჯიბე. ეს უნდა ამ გაჭირვებულ ხალხს? ეს ე. წ. უნარები, მისი ჯანსაღი ნაწილი, გაკვეთილებზე უნდა ისწავლებოდეს. ამას პედაგოგთა კვალიფიკაციამაც უნდა შეუწყოს ხელი (**რა უფრო უპრიანია, ერთხელ მოგვემზადებინა**



**პედაგოგები, თუ ისევ და ისევ არარსებული საგანი ვაბარებინოთ აბიტურიენტებს, გაუსაძლის ტვირთად რომ აწვება მშობლების მჭლე ჯიბეებს?! – კ. გ.).** სკოლას კი ჩამოართვეს აღმზრდელობითი ფუნქცია, მაგრამ სწავლა და აღზრდა ისეთი მთლიანი, განუყოფელი ცნებებია, რომ ეს ფიქციაა. აუცილებელია მშობლებთან მუდმივი კავშირი. სკოლა და ოჯახი ერთად უნდა ზრუნავდნენ მცოდნე, ზნეობრივი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. მცდელობას არ ვაკლებთ, მაგრამ ზოგი მშობელი მიუგდებს შვილს სკოლას და ხელს იბანს. არც იციან, რომელ კლასშია შვილი. ეს კი ძალზე გვირთულებს მუშაობას.

და კიდევ – უცხოელთა, სახელდობრ, ირანელთა პრობლემა. ასეთი 50 გვყავს. პირველი კლასიდან რომ შემოყავდეთ, კიდევ ეშველებოდა ამას, მაგრამ მაღალ კლასებში რომ შემოყავთ და ქართულის ბაიბურში არ არიან? აგერ, ერთმა ირანელმა მშობელმა დაიჟინა, შვილი მესამე კლასში დასვითო. არადა, ასაკით მეშვიდე კლასელია! მასწავლებლები იძულებულნი არიან ასეთებს მეტი დრო დაუთმონ, რაც ქართველი მშობლების საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს. ბინადრობის უფლება აქვთ. ადრე ამ სტატუსის მოსაპოვებელი გადასახადი 37 ათასი დოლარი იყო. ახლა – 100 ათასია. მაინც ახერხებენ ამ თანხის შეკოწიწებას. ბინადრობით უფლებამოსილებს კი – ამის უფლება აქვთ – მთელი საგვარეულოები ჩამოჰყავთ. არავინ იბერტყავს ამაზე ყურს. სახელმწიფომ ქართული ენის თუნდაც ერთწლიანი კურსები უნდა ჩამოაყალიბოს და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ მიეცეთ სკოლებში სწავლის უფლება.

ამ საკითხებზე ვესაუბრე პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ **მარიამ ჯაშს**. ერთობ ყურადღებით მოეკიდა პრობლემას. იმედია, კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგმება“.

სკოლიდან წამოსულს, კვლავ და კვლავ მიტრიალებდა გონებაში 35-ე სკოლის მოსწავლეთა გამონათქვამი, ჩვენი დირექცია კონტექსტიდან ამოვარდნილიაო. ძალიანაც კარგი, რომ ასეთია და უფრო უკეთესი, რომ ამას ყმაწვილები ხედავენ, აფასებენ და ითავისებენ.

უმთავრესი კი სწორედ ეს არის.

**კონსტანტინე გურგენიძე**

საახალწლო სამზადისია 213-ე ბაღში

# განა მარტო საჩუქრებს ელოდებიან?





**საახალწლო** სამზადისია თბილისის 213-ე ბაგა-ბაღში. აქ პატარების ჟრიამული სასიამოვნო და სადღესასწაულო გარემოს ქმნის. ბაღის ფოიე და ოთახები მორთულ-მოკაზმულია ნაძვის ხეებით, გირლიანდებით და პატარების მიერ შექმნილი სათამაშოებით, აპლიკაციებითა თუ ხელნაკეთი თოჯინებით.





გამოცდილი დირექტორი **ნინო ლომინეიშვილი** ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ პატარებს საზეიმო განწყობა შეუქმნას აღმზრდელებთან ერთად, საგულდაგულოდ ამზადებს საჩუქრებს, რომლებიც ბავშვებს ბაგა-ბაღების სააგენტომ გამოუგზავნა.

**ნინო ლომინეიშვილი** 213-ე ბაგა-ბაღს ორი წელია ხელმძღვანელობს, თუმცა, ამ საბავშვო დაწესებულებაში დაარსების დღიდან მოღვაწეობს და დიდი დამსახურება მიუძღვის სკოლამდელი აღზრდის სფეროში. ქალბატონმა ნინომ მთელ კოლექტივთან ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით საუკეთესო შედეგს მიაღწია, 213-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთი პრესტიჟული დაწესებულება გახადა. პატარები თავს კომფორტულად გრძნობენ და მშობლებიც კმაყოფილებას გამოხატავენ. ბაღი აღჭურვილია ყველა თანამედროვე ინვენტარით და ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია. აქ კვებას და ჰიგიენას დიდი ყურადღება ექცევა. სამზარეულო და სამედიცინო ოთახი გარემონტებულია. ბაღში სულ 9 ჯგუფი და 390 აღსაზრდელია. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის''** პროგრამა. სისტემატურად იმართება სხვადასხვა აქტივობები და შემოქმედებითი თუ თემატური ღონისძიებები. დიდი ყურადღება ექცევა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებს, რომლებთანაც მუშაობს სპეც. პედაგოგი და კარგ შედეგებსაც აღწევს. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური კადრებით.



**ნინო ლომინეიშვილი:** ბაღში ბავშვთა რაოდენობა სტანდარტებს შეესაბამება და კვებაც ხარისხიანია. უკვე 28 წელია აქ ვმუშაობ, ვიყავი განათლების კოორდინატორი და აქაურობა საკუთარი ოჯახივით მიყვარს. ვინ მოთვლის, რამდენი პატარა დამიფრთიანებია და არცერთი მათგანისთვის სითბო და სიყვარული არ დამიკლია. ჩემს კოლექტივთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ და თავდაუზოგავი შრომით მივაღწიე წარმატებას. ვამაყობ ჩემი თანამშრომლებით, რომლებიც მხარში მიდგანან და ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. ესენი არიან: დირექტორის მოადგილე **ნარგიზ წილოსანი,** განათლების კოორდინატორი **სალომე კევლიშვილი,** ფსიქოლოგი **ინგა ბელქანია,** სპეც. პედაგოგი **ნინო ზალევსკაია** და **ნინო ჯავახიშვილი**, მნე **თამილა ალუდაური**, ექთანი **მაკა დანელია;** ასევე, **„სასკოლო მზაობის''** ჯგუფის აღმზრდელები: **ცირა მუსელიანი, ნაირა ზარნაძე** და **თინათინ ნაკაშიძე,** თანაშემწეები – **ციცო ნარიმანიძე**, **მარინე შენგელია** და სხვები. ბაღის წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაგა-ბაღების სააგენტოს თითოეულ თანამშრომელს და ხელმძღვანელს ბატონ **კახა გვანცელაძეს,** რომლის ხელშეწყობით ბაღის ეზო მოწესრიგდა, დაირგო მწვანე ნარგავები და გამოიცვალა ასფალტის საფარი.. ასევე, დიდი მადლობა მხარში დგომისთვის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას და **გაიოზ ვასაძეს**, დეპუტატ **ავთანდილ ცინცაძეს**, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს **ტარიელ ტყემალაძეს.** ბაღში ბევრი რამ გაკეთდა და იმედია, 2020 წლისთვის ავტორიზაციასაც წარმატებით გავივლით.



ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. კოლექტივი გაწევრიანებულია პედაგოგთა პროფკავშირში, რომელთა მეშვეობით აღმზრდელებსა და თანაშემწეებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები უტარდებათ. აგრეთვე, ვთანამშრომლობთ საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდულ ორგანიზაცია **„დავითიანის''** მშობელთა სკოლასთან, რომლის ფსიქოლოგი **ნინო კერესელიძე** სისტემატურად აწყობს ტრენინგებს – აღმზრდელებისა და მშობლებისთვის.

213-ე ბაგა-ბაღში დიდი ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ხშირად იმართება საინტერესო ღონისძიებები და სეზონური ზეიმები. ამჟამად, პატარები საახალწლო კარნავალისთვის ემზადებიან. მათ საზეიმო განწყობას შეუქმნის ფიფქია და ზღაპრის გმირები. შემდეგ კი, თოვლის ბაბუა ცეროდენებს საახალწლო საჩუქრებსა და ტკბილეულს დაურიგებს.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ 213-ე ბაღელებო და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ!

**ნათია დგებუაძე**





ლიტერატურული გვერდი

# იმ მუზამ არ მოასვენა, მამულს რომ ეძახიან



**ლექსთა** ამ კრებულის გაცნობისას გალაკტიონის სტრიქონები ამედევნა: „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“.

შორს ამ ლექსებისგან უნიჭო გადამკითხველი! შორს ამ წიგნის ავტორისგან ის მწერლები, რომელთაც მუზა უნიტაზზე ჯდომისას ეახლებათ! შორს ის ქუდიანი პოეტი, რომელმაც ამას წინათ ნაცების აქციაზე ქართველ ერს ნიკოლოზის სტილში დედა აგინა! ჩვენს პოეტს კი მუზა ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვას ავალებს და ისიც ჩინებულად ართმევს თავს ამ საქმეს. მრავალმხრივი პროფესიონალია ჩვენი პოეტი. მხოლოდ მის ფერწერულ ნიჭზე ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ: ნახატებს: **„ცეკვა ქართული“, „სვანური“, „ოსური“, „ჩონგურზე დამკვრელი“, „ახალგაზრდები რუსთაველის გამზირზე“, „მზეამორძალი“, „კოჯა პაპა ნალბანდობს“** და ბევრ სხვას ფიროსმანი უთუოდ ვიზას მისცემდა.

**„ფერებს ეძებდა ცაში ენძელა“**. ხომ ლამაზი, პოეტური სათაურია წიგნისა? ჰოდა, ლექსთა ამ კრებულის ავტორია **გურამ გედევანიშვილი**, ხოლო **გურა-ანგურა** პოეტის ფსევდონიმია.

წიგნში თავმოყრილია: ლირიკული ლექსები, ბალადები, ნაწყვეტები პოემიდან **„ვერის უბნის ზმანებანი“,** მითოსური პოემიდან **„ღვთისშვილთა ბრძოლა... დევ-კერპებთან და ბნელ ძალებთან“.**

გაზეთის პროფილი და ფორმატი არ გვანებივრებს, რომ ვრცლად ვიმსჯელოთ ამ კრებულზე. ყველაზე აუცილებელს კი შევეხებით.

რასაც თემატიკურ-იდეური მხარე და პოეტური კულტურა ეწოდება, ყველაფერი რიგზეა: ამ ლექსებში ვაჟა და გალაკტიონი ბუხუნებენ, გალაღებული ხარირმის ყვირილი ისმის, მეტაფორა-სიმბოლოების, მითოსური წიაღიდან გამოხმობილი ლანდების ლაციცია, ალიტერაციების ჯარია...

**„პირთეთრა თეთრად თრთოდა, სევდა სვილისფერ თვალის, პირქუშ კლდეებზე თოვდა ფიქრი ცისფერი ქალის“. „ხნულებს იისფერს ადებს ინისფერს, ოქროვარაყით, ბინდი მიიწევს ფიფქთა მინისკენ ლოცვად მარადის“. „მორჩა, გათავდა, განქრა ყოველი, სამყარო დარჩა შეუცნობელი“, „ქარიშხლიანობს, შარიშურობს შორით შაორი, შმაგი ზვირთებით შურის მიმგები, არარაობით“. „სხივთა ფიალები გამოსცალა, დღენი გადაცვივდნენ ყიამეთს“** (მეტაფორა), **„მგელთა თვალები ჰკვესს და ჩემს ჯოჯოხეთს ანათებს“** და სხვა ბევრზე ბევრი უკეთესი. აი, ყოფითი ეპიზოდი: **„გზა შორია, ჩამოჯექი ერთ წამს, ძამა, მაგნოლია, როგორ ჰყვავის მაგნოლია, მასთან დავრჩეთ, ვეალერსოთ, სანამ წავალთ, გზა შორია, ჩამოჯექი ერთ წამს, ძამა!“** პოეტ ასტროლოგ **შალვა საბაშვილის** კოსმიურ პოეზიას ეხმიანება ლექსი **„ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა“.**

**„ვეფხვისა და მოყმის“** ტრადიციებზე ბალადის ჟანრის ამღორძინებელია პოეტი ლექსებში: **„ჯონდოს დატირება“, „მიძინება ხუროთმოძღვრისა“, „ხალიფა და ხალიჩა“.**

დღეს კლასიკური პოემა გაქრობის პირასაა, არავინ წერს და იმიტომ. **გურა-ანგურა** კი... აი, **„ვერის უბნის ზმანებანი“** და მითოსური პოემა **„ღვთისშვილთა ბრძოლა... დევ-კერპებთან და ბნელ ძალებთან“.** აქვე გვინდა ვთქვათ: ბატონი გურამი მეტად პოპულარულ ჟურნალ **„ათინათის“** და **„ანთოლოგიის“** ხელხვავიანი ავტორია.

მოკლედ, ცოდვაა ეს წიგნი გადამკითხველის ხელში რომ ჩავარდეს. **იგი პროფესიონალი**




**კრიტიკოსის შეფასებას მოელის.**

თავად ავტორის გემოვნებით შერჩეულ რამდენიმე ლექსს გთავაზობთ:

## მე ოცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე

**მე** ოცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე.
კოშკნი იდგნენ და ოცნებისა არა სჯეროდათ,
მე ოცნებაში ცათა ვთხოვდი, ცათა არაფერს,
ცა მიყურებდა და დაისის ფერით კვდებოდა.
ვიცი, სიკვდილი თიხასავით ყველას დაგვანგრევს,
თვალებს წაგვართმევს და სიბრძნეში მოგვცემს ბერობას.
მე ოცნებაში ბაბილონის კოშკი ავაგე,
მდუმარედ იდგნენ და ოცნებისა არა სჯეროდათ.

## მომდევს სატევრით ჩუმი მდევარი

**დროა** დატევის, მომდევს სატევრით ჩუმი მდევარი.
სივრცე ნაქები, ნისლით ნაგები და სულ ეგ არის.
ვიცი დამფლითავს, გამშლის ხალიჩად სხივთა კიაფად,
ზღვაზე ნარინჯთა ფერით დამიჯდა, გადამიარა.
დროა მეწყერის, წერო მეწევის, ლაჟვარდს მთავაზობს.
მე კი ვეცემი ჩემი ედემით სამარადჟამოდ.
ვიცი, განგების ნისლთა ჰანგების მახვევს სამოსელს,
თეთრი ვარდების მკერდით მადნების სასაფლაოზე.

## ფერი მწვანისა

**იგი** მორჩილი ფოთოლია, მბრძანებლობს ქარებს,
ფიქრის ყლორტია, დამყოლია, ჩრდილს შეიფარებს,
უტყვი სულია, ცათა მონაა, ჩურჩულებს მარად,
ხელთ მზე უპყრია, გარდაუქმნია ქარვისფერ ყანად.
ყელგამოწვდილი კრავი არის, ცელ-თიბათვისა,
განფენილია მეუფებად ფერი მწვანისა,
ფეხთა მტვერია, ალაგია და სარეცელი,
უპირველესი, უნეტარესი სასუფეველი.

## ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა

**შორეულ** ვარსკვლავებს და ბროწეულებს,
ალმასებს შუქიდან მოხეულებს ხეზე ჰკიდებენ...
და შენ, თინათინო შორეულო,
შორი ვარსკვლავების ორეულო,
დაისის სიმწვანეში იფეთქე.
მოგთხოვეთ ზღაპარი და ამბის თხრობა.
ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავზე ვით გათხოვდა,
კითხვა-ოცნებებით მოგესიეთ.
შენაც არ დაყოვნდი, მოგვიყევი
ვარსკვლავთ სიყვარული როდინდელი,
ნექტარ-ყვავილისა შევიმტკბარეთ.
გაიხსნა კაბადონი ასაფრენი,
ფრთები გამოგვესხა გარდაქმნების,
კოსმიურ ქარიშხლებით დაგვიბერე.
მოვწყდით დედამიწას, ცის კამარებს,
მისი მაგნეტიზმის ია-ვარდებს,
ასე დავედარეთ მთვარეულებს.
ხორცეულ ნდომისგან განვიბანეთ,
ტანზე გადავიცვით დღე და ღამე.
სხვასა ავემგზავრეთ მიმავალსა.
მიმსრბოლნი, მღვიმეთა ნაოსნები,
ვარსკვლავნი გვიმზერდნენ გაოცებით.
სტვენა მოისმოდა სერაფიმთა.
მზირალთ ყოველივე დაგვავიწყდა,
ჩანდა მირაჟებში დედამიწა.
ნატვრის ცრემლებითა მოვინამეთ,
ხოლო მანამდე კი გზისა პირსა
ასე უცნაურად, შუადღისას
ხეზე ვარსკვლავები დაეკიდა.

## ზღაპარივით იყო შენი მოსვლა

**ზღაპარივით** იყო შენი მოსვლა;
გკოცნი, გეხვევი, გკოცნი, გეხვევი.
ციურს იდუმალი არილით გმოსავს
მზიურ სიოთა ლოცვის ხელები.
შემოხვედ ჰანგებით, გალობით ხმოვანით,
ზღაპარივით იყო შენი მოსვლა.
ხელი ჩამკიდე და წამიყვანე,
ვეფლობოდით ყელამდე ყვავილნარში.
მთა გათეთრებულიყო მაისის ვარდობით,
ფარფატა პეპლებივით ვფრინავდით, დავრბოდით.
თვალნი დავხუჭე და მოგენდე,
ტანი მთლად დაგვეფარა სოსანით.
ოცნება მიგვაფრენდა ცისაკენ,
ვითა ნიჭის – ცისფერი ფრთოსანი.

## იყო დაბადება გალობისა

*(ნაწყვეტი პოემიდან „ვერის უბნის ზმანებანი“)*

**მოდი,** მეგობრობას გაუმარჯოს,
ვთქვათ, ვთქვათ სიკეთის და სიყვარულის,
ჩვენი და-ძმების და საოჯახო.
ჩვენი მომავლის და იმედების.
ჩვენი სათნო-სათნო ბებიების,
ჩვენი თეთრთმიანი ბაბუების,
ჩვენი დედების და დეიდების,
ჩვენი მამების და მამიდების...
პოპურს ანაცვლებენ პოპურებით.
ტრიო, ვით სამება წმიდათ-წმიდა,
ლოცვად დაღვენთილი ღუღუნებდნენ
დროში შემოსულნი არაფრიდან.
იყო დაბადება გალობისა,
ღმერთი სულიწმინდას ჩამოქნიდა,
ლამაზ გოგონათა დანახვისას
მზენი იფრქვეოდნენ სილურჯიდან.

## მამაკაცთა ჭიდილი

*(ნაწყვეტი „გლოვის ბალადიდან“)*

**წვეთავს** არაყი, ჯერ რახი არის,
ქვეყნად ლოთობა ვერვინ შერისხოს,
ცეკვავენ, სიკვდილს აცალონ ბრახი.
როკავენ, თითქოს ტანი მღერისო.
გაჩნდა ბიჭუნა, ტოტებზე ვაშლი.
გამოინასკვა, ვით საოცრება,
მისი სიცოცხლე ჩიტივით გაშლის
ფრთებს და სივრცეებს ჩაეკონება,
ცერული, ტაში, გზნების ტაიჭებს
ველურ ყიჟინით მიაჭენებენ,
მარჯნების ტბაში, რაღა დაიჭერს,
გადაეშვნენ და კიდეც გასცურეს.

## ბინდი დასწოლია მთებს

**ბინდი** დასწოლია მთებს,
სევდა-განქრობა მშვიდი...
გულს რაით აღაგზნებს,
შენზე ოცნება-ფრინდი.
საით მივყავარ გზებს,
დახვეულ მთების კალთებს?
მგელთა თვალები ჰკვესს
და ჩემს ჯოჯოხეთს ანთებს.
შორი სილურჯე მკლავს,
სითაც მიიწევს გული,
სივრცე გადამხვევს მკლავს,
ჩანგურის ჩანგი-ჩუნგით.
მდინარე მოდის მდოვრედ,
ზეცა რამ დააფეთა.
კრიმანჭულები მოსდევს
მზე-მთვარეს ფეხდაფეხა.
ქორი ირაოს ჰკრავს.
სუნთქვა სიმღერამ შესვა.
ბინდი შენს თვალებს ჰგავს,
გადამექცევა ცეცხლად.
მთებში მარადის სდუმს
ფერფლი სევდათა ბინდის.
საით მივყავართ მწუხრს,
ან გზა საითკენ მიდის?

## ბრძოლა დევ-კერპებთან

*(ნაწყვეტი მითოსური პოემიდან)*

**აგუნა** ნაღვერდლიანმა
შურთხივით დაუსტვინაო,
ნისლამ არ დაიგვიანა
ფეხი გადადგა წინაო...
სულ მოკლე გზებით იარეს
ლახეს მდინარეთ ფონები,
ჰა, დევთ სადგომსაც მიადგნენ,
ატყდა სასტიკი ბრძოლები...
და, აჰა, გატყდნენ დევები –
დევები უჩინარები.
ჩამოაწითლეს ხევები
სისხლითა უდინარებით.
ვერ უძლეს ისართ წიოკსა,
წივილსა მაწევრისასა
სეტყვა-წვიმასებრ ხივილსა
სისწრაფეს ქარიშხლისასა.

მოამზადა

**ბორის მიშველაძემ**

კონსერვატორიის ფილიალად წოდებული ხელოვნების მე-10 სკოლა

# როგორი ბერიცო, ისეთი ერიცო



**ქართული** ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „მოღვაწე – პირი, რომელიც რამე საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა." „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება".

ქვეყანა – სამშობლო. ბიბლიით კი, სამშობლო იქიდან დაიწყო, საცა პირველი წინაპარი დაიმარხა. ამ საფლავმა მიაჯაჭვა ადამიანი იმ ადგილს, ამუშაკა და ლოცვად დააყუდა.

აი, იქიდან, ათადან-ბაბადან მოყოლებული, ადამის ყოველი ძის ღვაწლი იმით ფასდებოდა, თუ რა მიიტანა მან ქვეყნის სამსხვერპლოზე, რა არგო სამშობლოს, მოყვასს...

ყოველ მოღვაწეს თავისი ასპარეზი არგუნა აზრთაგამრიგემ და რაოდენ უხვადაც დააბერტყა მას უფალმა კალთა თვისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავალდებულა, ეს წყალობა ქვეყნის, ხალხისთვის მოეხმარა.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მადლმოსილი, ქვეყნის მსახურებად ცხებული გახლავთ პიროვნება, ვისშიც ჰარმონიულად შეირწყა დიდი მუსიკალური ნიჭი და კაცურკაცურობა, ვიცთვისაც მიუღებელია უმადურობა და ღალატი, ვინც ცხოვრების მიზნად ილიასეული „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე" დაისახა და მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოსათვის ნიჭიერ მუსიკოსთა და სამშობლოს მოყვარულთა თაობების აღზრდას მიუძღვნა. მისი კრედოა – შესაძლოა, დიდი მუსიკოსი ვერ გახდე, მაგრამ პატრიოტი კი აუცილებლად უნდა იყო.

აი, **არამ ხაჩატურიანის** სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლის დირექტორის, მრავალი ჯილდოს, წოდების, დიპლომის, სიგელისა თუ მადლობის მფლობელის ბატონ **ტარიელ ბერაძის** პორტრეტის შტრიხები და მისი მოღვაწეობის ანი და ჰაე.

აგერ, სულ ახლახანაც, დირექტორად მუშაობის – 40 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეზეც გადასცეს მერიის სიგელი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისა და ბავშვთა აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მერიამვე დააფინანსა თბილისის **„არტ ჰოლში"** გამართული დიდებული კონცერტი, მთელი კულტურულ-მუსიკალური საზოგადოება რომ შეკრიბა. სიმფონიურ ორკესტრს ბატონი **რევაზ ტაკიძე** დირიჟორობდა.

კარგია, ამაგი რომ გიფასდება. დიდებული, შენს პატივსაცემად გამართულ კონცერტს ასეთი საზოგადოება რომ ესწრება,





მაგრამ გაცილებით უკეთესი, საამაყოა, როცა შენი სკოლის აღსაზრდელები გილოცავენ იუბილეს თავისი ხელოვნებით: **ბახის, მოცარტის, პოლუნინის, ბალანჩივაძის, ლომდარიძის, გრიგის, სილვანსკის, როულის, ბახივივალდის, ლუკომსკის, კაბალევსკის, ბერკოვიჩის, სენ-სანის, ჰაიდნის, არენსკის** ნაწარმოებები ბრწყინვალედ შეასრულეს მე-10 სკოლის აღსაზრდელებმა: **ნინო რევაზიშვილმა, მარიამ ბეკურიშვილმა, სალომე ხუნდაძემ, მინადორა ნარსიამ, სერგი შონიამ, ნიკა დავითაშვილმა** (პედაგოგი – **ლალი ესიტაშვილი), ანა-მარია მელქონიანმა, ლიდია ბებუთიანმა, თათული კუპრაძემ (სვეტლანა ოსიპოვა), გიორგი გოგიტაძემ, ნიკოლოზ ჟორდანიამ, ანრი აკოფიანმა, დოდონა ნამორაძემ (რუსუდან მირზაშვილი), მარიამ ნარსიამ, მარიამ გრიგალაშვილმა, სოფი ქოქრაშვილმა (ანა ტაბატაძე), ანა გრატიაშვილმა (სვეტლანა ჯიქია), რუსუდან ლიპარტელიანმა, ირაკლი ფიფიამ (ლუდმილა ჩეკმენევა), ლევან** და **გაბრიელ ღამბაშიძეებმა, ანა კორახაშვილმა (თამარ ჯიბლაშვილი)** და **ელენე გადრანმა (ივეტა მერაბიანი).**

**ხელოვნების მე-10 სკოლას უდიდესი ტრადიციები აქვს. ბრწყინვალე პედაგოგები, მუსი-კოსები მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ხელოვნების ამ ტაძარში. ხალხმა სრულიად დამსახურებულად უწოდა მას კონსერვატორიის ფილიალი.**





სკოლის უამრავი წარმატების ჩამოთვლაც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას.

იგი ყოველწლიურად მონაწილეობს ყველა ფესტივალსა თუ კონკურსში და, პედაგოგთა ძალისხმევით, ზუსტად რომ საზღვრავენ ყოველი მოსწავლის უნარს, შესაძლებლობებს და ისე ურჩევენ ნაწარმოებებს შემდეგ კი თავდაუზოგავად მუშაობენ მათთან, რათა ყმაწვილები ჩასწვდნენ, გაითავისონ ზეალმტაცი ჰანგები, მუდამ ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან და ჯილდოებს ჯილდოები ემატება.

აგერ, ახლახანაც სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი – **დარეჯან ჩიხლაძე)** ეროვნულ კონკურსში დიპლომი მოიპოვა ნომინაციაში – საუკეთესო ანსამბლი. კატეგორია – აკადემიური სიმღერა. აპრილში **„მომავლის ვარსკვლავების"** ლაურეატები გახდნენ **თამარ გრიგალაშვილი** და **ანჟელა გრიგორიანი** (კლასიკური ვოკალი, პედაგოგი – **ნატო აბრამიძე**, კონცერტმეისტერი, – კომპოზიტორი **მაყვალა ხორბალაძე-ლაშქარაშვილი).** კომპეტენტურმა ჟიურიმ ეს გოგონები გამოარჩია და მათ ბათუმში გამართულ საერთაშორისო საფესტივალო პროექტ **„ფესტივალიდან – ფესტივალამდეში"** იმღერეს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.

აქვთ გასვლითი კონცერტები გორში, საგარეჯოში, თელავსა და რუსთავში. ყმაწვილები ურთიერთობენ თანატოლებთან, იფართოებენ თვალსაწიერს.

**შალვა დავითაშვილის** სახელობის კონკურსი, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ **„ჰარმონიის"** კონკურსები **„ნორჩი ვირტუოზები", „წლის საუკეთესო დუეტი",** საქართველოს ხელოვნებისა და მუსიკის აკადემიის კლასიკური მუსიკის ეროვნული კონკურსი.

ამას თემატური: **გიორგობის, საშობაო, „საჩუქარი დედებს", 9 აპრილის** აღსანიშნავი კონცერტებიც დაუსთეთ, რაც, მუსიკის ხიბლთან ერთად, ყმაწვილების ზნეობრივ-პატრიოტულ აღზრდასაც განაპირობებს და ცხადი შეიქნება, რომ სკოლა ჰარმონიულ პიროვნებებს ზრდის.

ყოველწლიურად აღინიშნება **არამ ხაჩატურიანის** დაბადების დღე. იწვევენ კომპოზიტორებს. **ვაჟა აზარაშვილს, მერაბ მერაბიშვილს, ოთარ ტატიშვილს, ლევან კასრაძეს.**

ნორჩი მხატვრები და მძერწავები (პედაგოგები – **გვანცა კვანტრიშვილი** და **გურამ იანვარიშვილი)** საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებს მართავენ სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში სკოლის გუნდის შერულებული საგალობლებითურთ.

ასეთი და გაცილებით მეტი ნაყოფიერი, შემოქმედებით მუშაობაა გააშლილი სკოლის ყველა განყოფილებაში: საფორტეპიანოში, საორკესტროში (ვიოლინო, ფლეიტა, ქსილოფონი, გიტარა), ხალხური საკრავებისაში, ვოკალისაში (საესტრადო და კლასიკური), ხელოვნებაში (ხატვა, ძერწვა).

სასწავლო პროცესს უნარიანად უძღვება კონსერვატორიის კურსდამთავრებული ფორტეპიანოს კლასით სასწავლო ნაწილის გამგე, თავადაც პედაგოგი **ანა ტაბატაძე.**

ჩვენი კულტურის, ხელოვნების სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, სკოლაში 460-ზე მეტი აღსაზრდელი ჰყავთ. ეს ხელოვნების მე-10 სკოლის სახელგანსმენილობის, პედაგოგთა პროფესიონალიზმისა და კონსერვატორიის ფილიალობის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია.




**კონსტანტინე გურგენიძე**

P. S. გაზეთ **„სახალხო განათლება +"**-ის რედაქცია უერთდება ხელოვნების, კულტურის მრავალი მოღვაწის, მე-10 სკოლის პედაგოგთა და აღსაზრდელთა მილოცვებს და ბატონ ტარიელს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს, რათა ჩვეული გზნებით აკეთოს ქვეყნისთვის აგრერიგად საჭირო ის საქმე, რისთვისაც მოავლინა ამქვეყნად უფალმა.

წინსვლის მტკიცე გარანტი

# ილიასეული თერგი გამახსენდა



**ბიბლიით,** დასაბამიდან დედამიწაზე ერთადერთი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ძმამ მაინც დაღვარა ძმის სისხლი;

ისტორიის მამად ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილონი არიან შვილებითო; ანუ, აღზრდა ათადან-ბაბადან იყო კაცობრიობის პრობლემა, ხოლო სწავლის გარეშე, როგორ აღზრდი?

ეს პრობლემა მარადჟამს აქტუალურია. მას ყავლი არ გასდის. ოღონდ, დროის შესატყვისად იცვლება მისი ხერხები და მეთოდები, არსი კი იგივე რჩება – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა.

განათლების პროგრამა ყველა სკოლისათვის საერთოა და სწორედ აქაა „ჩამარხული ძაღლის თავი“: როგორ ახორციელებს მას სკოლა? ტრაფარეტულად მიჰყვება, თუ შემოქმედებითად უდგება, თავისი შეაქვს მასში?

სათქმელად ადვილია, შესასრულებლად კი – ძალზე რთული, მაგრამ თბილისის 195-ე საჯარო სკოლის შემოქმედი პედაგოგთა კოლექტივი განუხრელად ეძებს და ჰპოვებს კიდეც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს; ყოველი აღსაზრდელის ინდივიდუალობის გათვალისწინებით ნერგავს მეთოდებსა და რეკომენდაციებს, რაც მხოლოდ აქაურ მასწავლებელთა ხელწერაა. სწორედ ეს გახლავთ პროგრესი. ძალაუნებურად, ილიასეული თერგი გამახსენდა...

სწორედ ასე მუშაობენ პედაგოგები: **მაკა აბრამიშვილი, თამარ გოგოლაძე, ქეთევან გოგოლაძე, ნინო დათიშვილი, ირინე კალმახელიძე-ჩარკვიანი, ქეთევან კიკვიძე, მზია ფოფხაძე, ლია ჩხენკელი, ქეთევან კიკვაძე, ქეთევან კუპრეიშვილი, ეკატერინე სიმონიშვილი, კახა სიორიძე, მანონ კაშია, თამარ ადუაშვილი, ლალი გველესიანი, დარეჯან მგალობლიშვილი, ნინო მიქელაძე, ნანა თვალიაშვილი, ხათუნა ვაშალომიძე, დარეჯან დოლონაძე, დოდო ზარიძე, ნონა ჯანიმანოვი, ნანა კოჭლამაზაშვილი, ქეთევან ბოტკოველი, თამარ გამსახურდია, მედეა აბაშიძე, ნანა გვერწითელი, ინგა გეწაძე, ეკა ღამბაშიძე, ზოია თოდუა, სოფო ჯღარკავა, ლია ბარაჩაშვილი, ნატალია ჩახავა-ვანდერი, ლელა ხუნდაძე, ანა ხელაშვილი, დავით ბუაძე, ზოია კვიციანი, ეკატერინე ბლიაძე, ლელა გიგაური, ანა ფრუიძე, ლიანა ფიფია, ბიჭიკო პაპაშვილი, ალექსი ფიფია, იგორ კოროტკოვი, მარეხ კავთიაშვილი, მარინა შავლოხაშვილი, ნანა ბრეგვაძე, ნინო ქობალავა, ნანა აბესაძე, ქეთევან გაგოშიძე.**

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად და მიზანმიმართულად მუშაობს ყველა საგნობრივი კათედრა. შემუშავდა საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება; პროფესიული განვითარების გზების დასახვა; წარმატების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების გამონახვა.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმულები პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებისთვის. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ერთ-ერთი პრიორიტეტი დისციპლინა და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რისთვისაც ერთობლივად მუშაობენ დირექცია, კლასების ხელმძღვანელები, მანდატურის სამსახური, მშობლები და მთელი ეს მუშაობა არა მენტორულად, ბრძანებლურად წარიმართება, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის პრინციპით.

ასეთივე ურთიერთობაა პედკოლექტივში. კოლეგიალურად, გეგმაზომიერად და შეთანხმებულად მუშაობს მათთან დირექტორის მოადგილე – ქალბატონი **მზია წეროძე.**

სკოლას ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **კობა წენგუაშვილი** უდგას სათავეში. პირველი შთაბეჭდილება, რაც შემდგომ გაძლიერდა – **ადამიანი თავის ადგილზე.** მან 1996 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილება. სწავლის პარალელურად მუშაობდა ხელოვნების მუზეუმში, 137-ე (წყნეთი) და 51-ე საჯარო სკოლებში – ისტორიის მასწავლებლად. 2015 წლიდან 195-ე სკოლის დირექტორია, მაგრამ, უპირველესად, პედაგოგია, სკოლის ყველა საფეხური გაიარა და ამიტომ არა ოდენ „კაპიტნის ხიდურიდან“ ხელმძღვანელობს სკოლას, არამედ ღირსი პატივისცემითა და გაგებით ეკიდება კოლეგებს, აფასებს მათ გარჯას და გვერდში უდგას, რაც სკოლაში მუშაობის ჯანსაღ და ერთობ შედეგიან გარემოს ქმნის.

ასეთი მუშაობის, ურთიერთდამოკიდებულების ლოგიკური შედეგია, რომ „კატის“ გამოცდის მაჩვენებელი 90 %-ზე მეტია (სჯერათ, რომ წლევანდელი მაჩვენებელი აუცილებლად უფრო მაღალი იქნება). ეს კი ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოიცავს სკოლას, თითოეულ მოსწავლეს. მედალოსნებიც ჰყავდათ: ოქრო – **ირინა ჯანიმანოვი, გიორგი**



**ღვალაძე, მარიამ მარტიაშვილი, გვანცა კირთაძე;** ვერცხლი – **დეა ურუმბეგაშვილი, ლაშა გოგოლაშვილი, რუსუდან გოლიაძე** და **ნიკოლოზ კირვალიძე. მარიამ მდივნიშვილმა** (XII კლ.) ინგლისური და გერმანული ენების ეროვნულ ოლიმპიადებში გაიმარჯვა. ჯერ ბაქსვუდის საზაფხულო ბანაკში მიიწვიეს და იქაც – შვიდ საუკეთესოს შორის იყო; შემდეგ ბრიტანეთი – ორი კვირით. გერმანულ ენაში გამარჯვებისთვის კი ჰამბურგს აწვიეს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორც ზემოთ ითქვა, უმთავრესი ისაა, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოიცავს სკოლას. რისი ერთი დასტურიც კურსდამთავრებულთა გრანტები და თავისუფალი, აგრარული და საქართველოს უნივერსიტეტების ოფიციალური მადლობებია სანიმუშო აბიტურიენტთა აღზრდისათვის. აქვეა სან-დიეგოს უნივერსიტეტის მადლობის სიგელიც აქტიური თანამშრომლებისათვის. სხვადასხვა კონკურს-ოლიმპიადაში წარმატებული მონაწილეობის აღმნიშვნელი სიგელი, დიპლომი თუ სერთიფიკატი კიდევ ბევრია, რაც სკოლის შემოქმედებითი კოლექტივის ყოველდღიური შთაგონებული შრომის ლოგიკური შედეგია. მაგრამ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, პედაგოგთა მონდომების მიუხედავად, მათი მარგი ქმედების კოეფიციენ-



ტი გაწეულ შრომაზე ნაკლები იქნება. არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიები (თუმცა, დირექტორის თქმით, მათი უკეთ აღჭურვა იქნებოდა სასურველი), კომპიუტერული კლასი, ორი სპორტული დარბაზი – დაწყებითი საფეხურისა და უფროსკლასელთათვის, ღია სპორტული მოედანი, შენდება ფეხბურთის მოედანი; სააქტო დარბაზი უდიდესია საბურთალოს რაიონის სკოლებს შორის. აქ ძალზე ბევრი საინტერესო, აქტუალური, ჭკუის სასწავლებელი და მხიარული ღონისძიება იმართება. მოდერნიზებულია ექიმის კაბინეტი. რამაც განსაკუთრებულად გამახარა: **სკოლის ბიბლიოთეკაში ბავშვები, თურმე, რიგში დგანან სასურველი წიგნების გასატანად!** საერთო უვიცობის ფონზე, როცა ყმაწვილები ლამის გაარობოტონ, მხოლოდ წიგნის ასეთი სიყვარულის ჩანერგვისთვის უნდა ვუთხრათ 195-ე სკოლას მხურვალე მადლობა! ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში (10 000-ზე მეტი წიგნი) გონივრულად, პრაქტიკულად, ყმაწვილების საჭიროებისა და ასაკის გათვალისწინებითაა შერჩეული სპეციალური, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა.

წიგნი აღმზრდელია. სკოლაშიც როგორი ჰუმანური გარემო სუფევს?! ჰოდა, გასაკვირიც აღარაა, რომ ყმაწვილები, მოსწავლეთა თვითმმართველობის თაოსნობით, ინტერნეტში ეძებენ, პოულობენ გაჭირვებულ თანატოლებს, ბავშვებს და პროდუქტებით, სათამაშოებით, სამოსით ეხმარებიან. ასეთ თანასკოლელებსაც ძმურად უდგანან გვერდში, ეხმარებიან, თანაც ისე ტაქტიანად, რომ თავმოყვარეობა არ შეულახონ. რაოდენი მადლია ეს! მადლია, უპირველესად, სიკეთის მჩენელთათვის!

სკოლა ცდილობს ჰარმონიული პიროვნებები აღზარდოს. სწავლას მათემატიკის, მეტყველების, ჭადრაკის, ქართული ცეკვის წრეები, ფეხბურთის, ტაეკვანდოს, თავისუფალი ჭიდაობის (მრავალი საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავის აღმზრდელი, ბატონი **ბიჭიკო პაპაშვილი** წვრთნის მოჭიდავეებს და თან კაცობასაც ასწავლის) სექციები დაურთეთ და ცხადი შეიქნება, რომ გონებრივი და ფიზიკური განვითარება ერწყმის ურთიერთს, რაც სწორედ ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების მტკიცე საწინდარია.

2008 წელს გაფორმდა ხელშეკრულება გერმანიის ქალაქ **შტირდატის** სკოლასთან თანამშრომლობაზე. ყმაწვილები ურთიერთის კულტურას, სასწავლო პროცესს ეცნობიან. იმართება ექსკურსიები. ვინ უწყის, რამდენი შეიძლება გახდეს ქართველოლოგი ან გერმანისტი.

ბოლოს, ბატონმა კობამ განათლების სისტემის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელა. ლამის ორი წლის მანძილზე იგი რიგით მესამე დირექტორია, ვინც ალალად, საჯაროდ ამბობს ამას.

**კობა წენგუაშვილი:** „თავი და თავი პრობლემა, საიდანაც ყველაფერი იწყება, პედაგოგის შრომის დაუფასებლობაა, რაც ხელფასის სიმწირეშიც გამოიხატება. ამას მასწავლებელთა, დირექციის უფლებების ძალზე შეზღუდვაც ემატება. არადა, ყველაფერზე კი აგებ პასუხს. რეფორმა მაინცდამაინც უკეთესს არ ნიშნავს. განათლების სისტემაში დანერგილი ყოველი სიახლე ქართულ ეროვნულ მენტალიტეტზე, ცნობიერებაზე უნდა იყოს მორგებული. თუ სკოლას ეკისრება ვალდებულება მშობელთა წინაშე, მშობელსაც უნდა ჰქონდეს ვალდებულებულებები სკოლის წინაშე. არის ქვეყნები, სადაც მშობლები ჯარიმდებიან კიდეც თუ ამ ვალდებულებებს არ შეასრულებენ. არადა, კაცმა რომ თქვას, ეს ხომ ისევ მათი შვილების წინაშე აღებული ვალდებულებებია. მხარს ვუჭერ დიფერენცირებული სწავლების შემოღებას. ეს, უპირველესად, მოსწავლეებს წაადგებათ. ტელეჟურნალისტები ჩასაფრებულნი არიან, სად მოიძიონ რამე ცუდი სკოლებზე. მხოლოდ ეს აინტერესებთ, ამაზე არიან დაგეშილნი და ერთ ან რამდენიმე უარყოფით მაგალითს ანზოგადებენ. არადა, ჩვენთანაც ხომ ბევრი რამ კარგი ხდება? რა იქნება, ამაზეც დასცდეთ სიტყვა “.

195-ე საჯარო სკოლაში შექმნილი ერთობ შემოქმედებითი, საქმიანი, მეგობრული, მიზანმიმართული გარემო წინსვლისა და ახალი წარმატებების მტკიცე გარანტია.

**კონსტანტინე გურგენიძე**





# აი, სადა ძევს 116-ე ბაგა-ბაღის წარმატებების გასაღები



**ახალგაზრდა** წყვილს **ვასილ სუხომლინსკისათვის** უკითხავს, რა ხნიდან დავიწყოთ შვილის აღზრდაო. რამდენი წლისაა თქვენი შვილიო, უკითხავს დიდ პედაგოგს. სამისო. ჰოდა, სამი წლით დაგვივიანებიათო, იყო პასუხი. მართლაც, თავიდან მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძნელია. ხშირად კი – შეუძლებელიც.

ეს კარგად უწყიან თბილისის 116-ე ბაგა-ბაღში. იციან, რაოდენ რთული და საპატიო მისია აკისრიათ – ძირითადად, ბაგა-ბაღებში (რა თქმა უნდა, ოჯახებთან თანამშრომლობით) ეყრება საფუძველი პატარების ზნეობას, მორალსა და ჯანმრთელობას. საამისოდ კი ყოველი აღსაზრდელის სულსა და გულს უნდა ჩავწვდე, მაგრამ ჯერ მათი ნდობა უნდა მოიპოვო. მოიპოვო, უპირველესად, პირადი მაგალითით და კოლექტივის მთელი ძალისხმევა აქეთაა მიმართული, მაგრამ ეს თვითმიზანი როდია. ასე ვერაფერს მიაღწევ. ეს მათს შინაგან მრწამსზე დაფუძნებული ბუნებრივი ქცევაა, რასაც უმალ ატყობენ ყმაწვილები.

ბავშვები ხომ მყისვე გრძნობენ სად სიმართლეა და სად – სიყალბე.

თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ მიაღწევთ ცათა სასუფეველსო, გვმოძღვრავს უფალი. აღმზრდელები ცდილობენ პაწიების თვალით შეხედონ სამყაროს. მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ. ერთდროულად აღმზრდელებიც იყვნენ და მეგობრებიც.

ასე მუშაობენ აღმზრდელები: **ეთერ მაისურაძე, ხატია გოგოლაძე, ანგელინა მღვდელაძე, თამარ სეფიაშვილი, მანანა ბალხამიშვილი, ნინო დარსალია, თამარ მაღლაფერიძე, ლია ცხვედაძე, მაია გოგიშვილი;** მათი თანაშემწეები: **მანანა შიშნიაშვილი, ხათუნა ბარძიმაძე, ოლღა ტოგონიძე, ნანა ღვინიაშვილი, ნონა კუჭაშვილი, ნინო შავერდაშვილი, ნათია მინაძე, მაია ბასილაშვილი, ცისანა ფარულავა** და **მარიამ ფუხაშვილი;** სპეციალური პედაგოგი **მაკა ხარაიშვილი,** ლოგოპედი **თამარ ბერუკაშვილი,** ფსიქოლოგი **თინათინ ბეჟანიშვილი;** მუსიკისა და ცეკვის პედაგოგი **ლალი ბოხუა.**

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზმია. წარმატება მისი ყოველი რგოლის ხარისხიანი, ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობის ლოგიკური შედეგია. ამიტომაა დასაფასებელი ექთან **თამუნა კახაბრიშვილის**, საქმისმწარმოებელ **თამილა დათუკიშვილის,** მზარეულის – **კალინკა პაქსაშვილის,** მისი თანაშემწეების: **ნათელა აფციაურისა** და **თამარ კვერენჩხილაძის;** დამლაგებლების: **დანუტა ლომიძის, დალი ტალახაძის, ლალი კერესელიძის, თამარ ქარუმიძის;** მრეცხავ **ნინო ასრათაშვილის,** მეეზოვის – **მანანა დათუნაშვილის,** დარაჯების: **თენგიზ ზავრაშვილისა და ბონდო ფანჩვიძის**, მუშის – **ვასილ ფუხაშვილის** შრომა.



ცხადია, ასე ილვწიან გამოცდილი და შემოქმედი მეთოდისტის **ეკა აბზიანიძის,** ჩინებული სპეციალისტისა და ორგანიზატორის – დირექტორის მოადგილის **ია ზურაბაულის** ხელმძღვანელობითა და თანადგომით.

კოლექტივის ყოველ წევრს აქვს გასიგრძეგანებული, რომ მხოლოდ ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობითაა შესაძლებელი საერთო მიზნის მიღწევა. ამიტომ პატივს მიაგებენ, აფასებენ ურთიერთის შრომას და მყისვე მზად არიან დახმარების ხელის გასაწვდენად. ხოლო, სადაც ასეთი მრწამსია, მიზანი, რაგინდ რთულიც იყოს, აუცილებლად მიიღწევა.





ასეთი გარემოს შექმნა კი, უპირველესად, დირექტორის – ქალბატონ **დარეჯან ავალიანის,** მრწამსითა და მოწოდებით პედაგოგის დამსახურებაა.



ლამის ლურსმნებივით გვიჭედავდნენ თავში, ისტორიაში წარმმართველი ძალა მასა იყო, არის და იქნებაო. კი, „ფაფხურობდნენ“ რაღაცას პიროვნებები, მაგრამ გადამწყვეტი მასაა და მასაო. არადა, ისტორია სწორედ საპირისპიროში გვარწმუნებს.

ხომ ცხადია: თუ სათავე სუფთაა, წყაროც ანკარა მოედინება. ასევეა ცხოვრებაშიც: თუ ხელმძღვანელი მცოდნე, თავის საქმეზე შეყვარებული, დიდებული ორგანიზატორი, კოლეგიალურია, აი, ისეთი, რომ იტყვიან, ადამიანი თავის ადგილზეაო, მაშინ კოლექტივში ჯანსაღი სამუშაო გარემო იქმნება, სწორედ ისეთი, 116-ე ბაგა-ბაღში რომაა.

ქალბატონმა დარეჯანმა ჯერ **იაკობ გოგებაშვილის** სახელობის სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ – **ილია ჭავჭავაძის** სახელობის უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტი და დაარსებიდან მუშაობს ამ აღმზრდელობით დაწესებულებაში. ჯერ – მეთოდისტად, ბოლო 12 წელიწადი კი დირექტორია.

ბაგა-ბაღის წარმატების უცილობელი დასტური: **140 ბავშვზე გათვლილ დაწესებულებაში... 345 აღსაზრდელია.** ანუ მშობლები ენდობიან კოლექტივს; იციან, ვისთან მიჰყავთ შვილები – სითბოთი გამთბარ, უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში. ცხადია, აღსაზრდელთა ასეთი სიმრავლე დამატებით სირთულეებს უქმნის ბაღს, მაგრამ ბაგა-ბაღების სააგენტოს (ხელმძღვანელი –**კახა გვანცელაძე**) განუხრელი თანადგომითა და კოლექტივის კრედოთი – ბავშვი, უპირველეს ყოვლისა, ყველა სირთულე გადაილახება ხოლმე.



**„სასკოლო მზაობის“** პროგრამით ბავშვები თამაშ-თამაშ, ხალისიანად მიჰყავთ დასახულ მიზნამდე. ჯგუფები დაყოფილია ცენტრებად: უფროსკლასელებისთვის – **მეცნიერების, წიგნიერების, კონსტრუირების, ხელოვნების, სამაგიდო; დილისა და საღამოს** წრეები.

აღსაზრდელს პედაგოგი მხოლოდ აკვალიანებს, ურჩევს; საბოლოო არჩევანი ბავშვზეა. მას შეუძლია ერთხანს რომელიმე ცენტრში იმუშაოს, მერე კი, სურვილისამებრ, სხვაში გადავიდეს.

განსაკუთრებული ყურადღება ყმაწვილებში ბუნების, გარემოს, ცხოველების სიყვარულის ჩანერგვას ექცევა. ბაგა-ბაღში სამართლიანად მიიჩნევენ – ასე აღზრდილი ბავშვები, შვილებსაც იგივე სულისკვეთებით აღზრდიან.

აღსაზრდელებმა საგანგებო ვითარებაშიც უნდა იცოდნენ სწორად მოქცევა. ამასაც ასწავლიან, რაც პატარებს ალღოიანობას, სწრაფად აზროვნებას უვითარებს.

სპორტულ მოედანზე იმართება **„მხიარული სტარტები“.** ყოველდღიურად – სპორტული აქტივობები.

„უცნაური“ მინიექსკურსიებიც იმართება. ბავშვები დაჰყავთ მაღაზიებში, აფთიაქებში, კაფეებში... აცნობენ უბანს და იმასაც, სად, რა ხდება. ეს კი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უვითარებს, მიკროგარემოსთან აახლოებს პატარებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდებულ ღონისძიებას, სამხედრო ფორმებში გამოკვართულმა პატარებმა წკრიალა სხმებით რომ შეჰფიცეს სამშობლოს ერთგულება, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე,** სამგორის რაიონის დეპუტატი **შოთა ხაბარელი,** რაიონის გამგებელი **კახაბერ გულედანი** და ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი **კახა გვანცელაძე** ესწრებოდნენ.



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ფესტივალზე – **„ზღაპრული სამყარო“** დიპლომით დაჯილდოვდნენ.

ტრადიციულია საგაზაფხულო და საშემოდგომო, საახალწლო და დედის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულები.

116-ე ბაგა-ბაღში მიმდინარე ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობის გამოწვლილვით განხილვა ძალზე გამიგრძელებდა სიტყვას. მით უფრო, რომ სათქმელი გაცილებით მეტი დარჩა, ვიდრე ითქვა, მაგრამ წარმატების უცილობელი საწყაო – 140 ბავშვზე გათვლილ ბაღში ლამის სამჯერ მეტი აღსაზრდელი რომ ჰყავთ, გამოიკვეთა.

## კოტე სარალიძე

P. S. დირექტორის კაბინეტში გამოფენილ მრავალ ჯილდოს, მადლობას, სიგელს, დიპლომსა და სერთიფიკატიდან გამორჩეულად მომხვდა თვალში მადლობა, რაც სხვა ბაგა-ბაღებში არ მინახავს. ქალბატონ დარეჯანს ოფიციალურ მადლობას უხდიან **მასწავლებელთა თავისუფლების, მათი უფლებების დაცვისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის.**

აი, სადა ძევს 116-ე ბაგა-ბაღის დიდებული წარმატებების გასაღები.

ესთეტიკური აღზრდის კერა

# მუდამ წარმატებული გზით გევლოთ!



**თბილისის** მერიამ სახელოვნებო სწავლებისადმი მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოხატა. მოსწავლეთათვის შესაბამისი პირობები და პოზიტიური გარემო შეიქმნა თბილისის **პეტრე ამირანაშვილის სახელობის მე-18** ხელოვნების სკოლაში, რომელსაც ღვაწლმოსილი დირექტორი **თენგიზ იაგორაშვილი** ხელმძღვანელობს.

სასწავლო პროცესი რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს საერთო მუსიკალური, სამხატვრო და ქორეოგრაფიული განათლება; აზიაროს ხელოვნებას; აღზარდოს მრავალმხრივ განვითარებული მსმენელი; განავითაროს მათი ესთეტიკური გემოვნება.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისათვის კი მერია ახორციელებს პროექტს, რომლითაც სრულად ფინანსდება მათი სახელოვნებო სასწავლებელში სწავლის საფასური.

ბოლო წლების განმავლობაში სამუსიკო სკოლებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. წინათ, მუსიკალური განათლების მიცემა პრესტიჟულად ითვლებოდა და სავალდებულო მდგომარეობიდან, როცა ყველა უმცროსკლასელს მუსიკალური განათლება უნდა მიეღო, მხოლოდ სასურველზე გადავიდა და სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც შემცირდა. გამონაკლისი არც მე-18 მუსიკალური სკოლა (თემქის დასახლებაზე) იყო. არსებობის თითქმის 50 წლის მანძილზე, ბევრი წარმატებული და ისეთი წლებიც ახსოვთ, როცა შეუმინავ ფანჯრებსა და გაყინულ ოთახებში ისხდნენ. ამჟამად, სკოლამ მისამართი შეიცვალა, დასახლების ყოფილი პოლიციის შენობა გადაეცათ, მოპირკეთდა მისასვლელი ეზო, გაკეთდა პანდუსი, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, გადაეცათ ინვენტარი, ფინანსდება კომუნალური გადასახადები და კეთილმოწყობილ სივრცეში 112 მოსწავლისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა განყოფილება — **ფორტეპიანოს, გიტარის, ხალხური საკრავების, ხატვის, ქართული ხალხური** და **სამეჯლისო ცეკვების.** მომავალში დაგეგმილია **საესტრადო** განყოფილებისა და **ჭადრაკის** კლასის გახსნა.

დირექტორი **თენგიზ იაგორაშვილი,** პროფესიით მუსიკოსია და 35 წელია ამ სკოლას



ხელმძღვანელობს, კოლექტივში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. სკოლის დაარსების დღიდან, საფორტეპიანო განყოფილებას წარმატებით უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი **ბელა ფრანგიშვილი** და ასევე, ღვაწლმოსილი მასწავლებლები: **ცისანა მჭედლიშვილი, ჟანა მჯოიანი, ირინა იარიში, ნატალია მურადოვა, ცარო ბიჩინაშვილი, ეთერ იმნაძე. აქ** ბევრი თაობა დაფრთიანდა, დედები, შვილები. ზოგიერთი, შემდგომ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა, როგორც პედაგოგი. **მზია ნადირაძე** ერთ-ერთი მათგანია. იგი ქალბატონ ბელას ნამოწაფარია, ასევე მისი დაც და დისშვილიც **გიორგი გიგაშვილი,** რომლის წარმატებებიც უკვე საქართველოს საზღვრებს გასცდა. მუსიკის თეორიულ განყოფილებას უძღვება **ლარისა კალანდაძე;** სკოლის გუნდს ხელმძღვანელობს **ნინო კობახიძე,** ხოლო გიტარის კლასის პედაგოგია **ნათელა ბერუჩავა.**

სკოლის კედლებს ამშვენებს ხატვის წრის პედაგოგის, **ქეთევან ხვიჩიას** მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრები, რას არ ნახავთ აქ: პეიზაჟი, ფერად-ფერადი ყვავილები, ფრინველები, ცხოველები; მას შემდეგ, რაც ხელოვნების სკოლის სტატუსი მიიღეს, სკოლას შეემატა — ხალხური საკრავები, ხელმძღვანელი **ირმა მაისურაძე;** ქართული ხალხური ცეკვების – ხელმძღვანელი **„სუხიშვილების“** სოლისტი **დავით ხოზაშვილი;** სამეჯლისო ცეკვებს უძღვება **ჯანო თითირაშვილი.**

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, სკოლის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ საქალაქო თუ სასკოლო ღონისძიებებში, ხელოვნების სკოლების ფესტივალზე, საქალაქო გამოფენებში, ფესტივალ **„მომავლის ვარსკვლავებში,“** სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კონკურსებზე. უდიდესი წარმატებით გამოირჩევა პედაგოგ **ბელა ფრანგიშვილის** მოსწავლე **გიორგი გიგაშვილი,** იგი წლების განმავლობაში, ხელოვნების სკოლების ფესტივალის გამარჯვებული იყო და ბარსელონაში გამართულ საფორტეპიანო კონკურსში **გრან-პრი** დაიმსახურა. ასევე, წარმატებული მოსწავლეა **საბა ცხოვრებაძე,** რომელმაც თურქეთის ქალაქ მარმარისში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე მე-2 ადგილი დაიკავა და ქალაქ ბაქოს კონკურსის გამარჯვებულია.

ფესტივალ **„მომავლის ვარსკვლავების“** ლაურეატის წოდებით დაჯილდოებული მოსწავლეები არიან: **ნინო სილაგაძე, მარიამ რიჟამაძე, ტატიანა პეტრუსოვა, ანანო ძოწენიძე** (პედაგოგები — **ბელა ფრანგიშვილი, სუსანა საააკაშვილი, მზია ნადირაძე**); სისტემატურად იმართება კონცერტები **ზაქარია ფალიაშვილის** სახლ-მუზეუმში, ეროვნული ბიბლიოთეკისა და კომპოზიტორთა კავშირის სააქტო დარბაზებში, სადაც წარმატებით გამოდიან ნიჭიერი მოსწავლეები: **საბა ნოზაძე, ელენე ბერუაშვილი, თინათინ შავიძე, ბარბარე გოგალაძე, ელენე ლომაძე, ლიზი კატრიაშვილი, მარია შამოევა, ქეთევან გასოევა, ანა კაზარიანი, ალინა კაზარიანი.**



სკოლის კოლექტივმა სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი ახალ სასწავლო წელს გარემონტებულ, მოწესრიგებულ შენობაში ახალი შემართებით დაიწყო – გაპრიალებული საფორტეპიანო კლასები ახალი ინსტრუმენტებით, საფორტეპიანო დარბაზი 2 როიალით, ხალხური ცეკვების დარბაზი და სამხატვრო კლასი ახალი ინვენტარითა და ყველა საჭირო რესურსით. თბილისის მერიის პროგრამების მიხედვით, სკოლის 48 სოციალურად დაუცველ, აგრეთვე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ 8 მოსწავლეს და მათ პედაგოგებს მერია აფინანსებთ; იმედი გვაქვს ამ დასახლების მოსწავლეთათვის ეს სკოლა ხელოვნებასთან ზიარების საუკეთესო კერა მუდამ იქნება და მათი წარმატებებით კვლავ და კვლავ იამაყებენ.

შობა-ახალ წელს გილოცავთ და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

**ნათია გუგუნავა**





## მადლობა დასტაქრებს

9 დეკემბერს ალიონზე ძალზე მძიმედ მყოფი მეუღლე „სასწრაფო დახმარებით“ (მადლობა – 112-ს. მართლაც, ძალზე სწრაფად მოვიდა) მივიყვანე ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრამვატოლოგიის ცენტ „ემერჯენსში“. ხუთ საათზე მეტი დავყავით იქ და გამოჯანმრთელებული პაციენტი მოვიყვანე შინ.

ეს ჭეშმარიტად დასტაქრების: ქირურგების – პროფესორ **ავთანდილ მეგრელაძისა** და **ელგუჯა არდიას,** ექიმ **მაია ებანოიძის,** ექთან **ნათია ლაფენაშვილისა** და რენდგენოლოგ-ლაბორანტ **დავით ბახტაძის** დამსახურებაა.

პაციენტს მყისვე დაუდგინეს ზუსტი დიაგნოზი და ძალზე ოპერატიულად გაუწიეს კვალიფიციური დახმარება. მთელი იმ 5 საათის მანძილზე, მეუღლე მათი ყურადღებითა და სითბოთი იყო მოსილი.

დიდი მადლობა, ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა გულისხმიერი სპეციალისტები.

**კონსტანტინე გურგენიძე**

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 5 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „ისმინე, სწავლის მძებნელო!“ გაიპარა შეცდომა: უნდა იყოს – აღმასრულებელი დირექტორი, ქალბატონი **ნანა ზურაბიშვილი.**

რედაქცია ბოდიშს უხდის კერძო სკოლა “დავითიანსა“ და პირადად ქალბატონ ნანას.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N16 (4575)
19 დეკემბერი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113